

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მერაბ ხაბულიანი

კონფლიქტების მართვის რუსული ხედვა სამხრეთ კავკასიის
მაგალითზე

სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა

ნაშრომი შესრულებულია საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ასისტენტ-პროფესორი - გიორგი მელიქიძე

თბილისი

2022

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს სამხრეთ კავკასიის რეგიონის კონფლიქტებს, მათ გამოძწევს მიზეზებს და კონფლიქტების მართვის ხედვებს. კვლევის აქტუალობას მნიშვნელობას მატებს 2020 წელს განახლებული კონფლიქტი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, ასევე 2022 წლის დღემდე მიმდინარე კონფლიქტი რუსეთსა და უკრაინას შორის. ზემოთ აღნიშნულ კონფლიქტებს აერთიანებთ კონფლიქტების მართვის რუსული ხედვა და რუსეთის სტრატეგიული მიზანი გახდეს ჰეგემონი რეგიონში.

კვლევის მიზანია, დაადგინოს რუსეთის სარგებლის მაქსიმიზაციის კორელაცია სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების წარმოქმნის ალბათობასთან. აღნიშნული ფენომენი გაანალიზდა საჯარო პოლიტიკის რაციონალური არჩევანის თეორიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ნეორეალიზმის თეორიის ჭრილში, რომლის ამხსნელობითი უნარი გადამოწმდა აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონისა და ყარაბაღის კონფლიქტების სიღრმისეული შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე. კვლევის მიზნიდან გამომდინარე გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ამოცანები: რუსეთის ინტერესების განსაზღვრა სამხრეთ კავკასიის მიმართ; სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მართვის რუსული ხედვის ურთიერთმიმართება რეგიონის კონფლიქტების ესკალაციასთან და სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებში ჩართული ორგანიზაციების საქმიანობის შესწავლა.

რაციონალური არჩევანის თეორიის საფუძველზე ნაშრომის ფარგლებში ახსნილია რუსეთის მიერ სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მართვის ხედვები, როგორც რაციონალური აქტორის მიერ მხოლოდ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებები სარგებლის მაქსიმიზაციის მიზნით.

ნეორეალიზმის თეორიით ნაშრომში ახსნილია სამხრეთ კავკასიაში რუსეთის საგარეო პოლიტიკა და მის მიერ განხორციელებული მოქმედებები. თავდასხმითი რეალიზმის ძირითადი პოსტულატები რუსეთის საგარეო პოლიტიკას წარმოგვიდგენს, როგორც საერთაშორისო სისტემის დიდი სახელმწიფოს რეგიონული ჰეგემონის სტატუსისთვის ბრძოლას. ამ თეორიის მიხედვით დიდი სახელმწიფოები არ ცნობენ

სტატუს-კვოს და ცდილობენ ძალაუფლების მაქსიმიზაციას, მათთვის ომი წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის მიღწევის კარგ საშუალებას, თუკი ომით მიღებული სარგებელი გადაწონის ომით გამოწვეულ დანაკარგებს.

კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნა კვლევის თვისებრივი მეთოდი და მისი მეთოდური ტექნიკა - შემთხვევის შესწავლა (Case study) და სიღრმისეული ინტერვიუ. ნაშრომში წარმოდგენილია აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტების მართვის შემთხვევები. კვლევის ფარგლებში გაანალიზდა საკვლევ საკითხთან დაკავშირებული მკვლევარების, მეცნიერების და ექსპერტების სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები, ასევე მეორადი წყაროები, ქართული და უცხოური ბეჭდვითი პრესა და ელექტრონული მასალები. სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა კონფლიქტისა და მშვიდობის მკვლევარებთან, საერთაშორისო ურთიერთობის, აგრეთვე ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალისტებთან.

კვლევის შედეგად დადგინდა, რაც უფრო მზარდია რუსეთის სარგებლის მაქსიმიზაციის სურვილი რუსეთის ჰეგემონური პოლიტიკის ასპექტში, მით უფრო იზრდება კონფლიქტების ესკალაციის ალბათობა სამხრეთ კავკასიაში.

კვლევის **სიახლეს** წარმოადგენს რაციონალური არჩევანის თეორიის და ნეორეალიზმის თეორიის გამოყენება რუსეთის საგარეო პოლიტიკის და სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მართვის რუსული ხედვის ასახსნელად.

საკვანძო სიტყვები: ნეორეალიზმი, რაციონალური არჩევანის თეორია, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები, უსაფრთხოების დილემა.

Abstract

Russian way of conflict management in the South Caucasus Region

Khabuliani M. S.

The paper herein examines the conflicts in the South Caucasus region, their underlying causes and visions of processing and managing conflict. 2020 tensions between Azerbaijan and Armenia and the ongoing war between Russia and Ukraine adds to the importance of urgency of this research. The Russian vision for being hegemon in the region and Russian way of managing conflicts is the common thing for these conflicts.

The aim of the study is to determine the correlation between the maximization of Russia's benefits and the likelihood of conflicts in the South Caucasus. This phenomenon has been analyzed in the context of the theory of rational choice of international relations' neorealist framework. The explanation of which was tested on the basis of in-depth study and analysis of the conflicts in Abkhazia, Tskhinvali and Karabakh. The following tasks were identified once conducting the deep analysis of the topic: To identify Russia's interests in the South Caucasus; Correlation of the Russian vision of conflict management in the South Caucasus with the escalation of conflicts in the region and the study of the activities of organizations involved in the conflicts in the South Caucasus.

Based on the theory of rational choice, the paper explains Russia's views on the about the South Caucasus conflicts as a rational actor, making political decisions based only on his own national interests in order to maximize benefits.

In the paper herein the theory of neorealism explains Russia's foreign policy in the South Caucasus and its actions. The main postulates of offensive realism represent Russia's foreign policy as a fight for the status of regional hegemon of a large state of the international system. According to this theory, the great powers do not recognize the status quo and try to maximize power. if the benefits of war outweigh the losses, in that scenario war is a good way to achieve strategic goals for them.

Qualitative research method and its methodical technique - case study was used in the research. The conflicts in Abkhazia, the Tskhinvali region, and Nagorno-Karabakh were analyzed during the research process. Also, scientific-research papers and secondary sources of researchers, scientists and experts researches, Georgian and foreign print press and electronic materials were studied and analyzed within the framework of the research

The study found that in terms of Russia's hegemonic policy, the greater the desire to maximize Russia's benefits, the greater the likelihood of escalating conflicts in the South Caucasus is.

The novelty of the study is the application of the theory of rational choice and the theory of neorealism to explain Russia's foreign policy and the Russian vision of conflict management in the South Caucasus region.

Key words: neorealism, rational choice theory, ethnopolitical conflicts, security dilemma.

სარჩევი

შესავალი	6
კვლევის მეთოდოლოგია	11
ლიტერატურის მიმოხილვა	12
თეორიული ჩარჩო	16
თავი 1. რეგიონული და გლობალური აქტორების ინტერესები სამხრეთ კავკასიის მიმართ	24
1.1. რუსეთის საგარეო პოლიტიკა და სამხრეთ კავკასია	24
1.2. აშშ-ის საგარეო პოლიტიკა და სამხრეთ კავკასია	32
1.3. თურქეთის საგარეო პოლიტიკა და სამხრეთ კავკასია	37
თავი 2. რუსეთის როლი სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მართვის პროცესში (შედარებითი ანალიზი)	39
2.1. რუსეთის როლი აფხაზეთის კონფლიქტის მართვის პროცესში	39
2.2. რუსეთის როლი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტის მართვის პროცესში	42
2.3. რუსეთის როლი 2008 წლის აგვისტოს ომის მართვის პროცესში	44
2.4. რუსეთის როლი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მართვის პროცესში	47
თავი 3. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების დარეგულირებაში ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციები	50
3.1 აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების დარეგულირებაში ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციები	50
3.2 მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირებაში ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციები	55
დასკვნები	58
გამოყენებული ლიტერატურა	63

შესავალი

მე-20 საუკუნის მიწურულს სოციალიზმის საერთაშორისო სისტემის ნგრევამ საფუძველი ჩაუყარა რეგიონული კონფლიქტების გაღვივებას. პოსტსაბჭოთა სივრცეში დაიწყო სუვერენული სახელმწიფოების ჩამოყალიბების შეუქცევადი პროცესი, რამაც მთლიანად შეცვალა გლობალური და რეგიონული პოლიტიკა. გაჩნდა ახალი ძალთა ცენტრები და დაიწყო ბრძოლა გავლენის სფეროების გადანაწილებისათვის. ერთ-ერთ ასეთ ბრძოლის ასპარეზად იქცა პოსტსაბჭოთა ტერიტორია, მათ შორის სამხრეთ კავკასიის რეგიონი, სადაც აღმოცენდა ეთნიკური, პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური კონფლიქტები.

ნაშრომი იკვლევს სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მართვის ხედვებს, კოფლიქტების ესკალაციის ფაზებს და დინამიკას, აღნიშნულ კონფლიქტების გამომწვევ ძირითად მიზეზებს და მათ გავლენას რეგიონულ უსაფრთხოებაზე. ეს ძალიან კომპლექსური და რთული საკითხია, თამამად შეიძლება ითქვას ინტერდისციპლინურიც კი, ვინაიდან ამ საკითხის საფუძვლიანი ანალიზი საჭიროებს სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინების მხრიდან შესწავლას, როგორცაა საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტოლოგია, კონფლიქტოლოგია, სოციოლოგია, ისტორია და ა.შ.

სამხრეთ კავკასიის რეგიონი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ყოველთვის წარმოადგენდა რეგიონის მსხვილი მოთამაშეების ინტერესის საგანს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური მდებარეობა და ენერგორესურსები მოექცა გლობალური და რეგიონული წამყვანი პოლიტიკური აქტორების ინტერესების სფეროში. რუსეთი სამხრეთ კავკასიაში რეგიონულ ძალას წარმოადგენს და მას თავისი სტრატეგიული, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები გააჩნია. იგი თავს საბჭოთა სამართალმემკვიდრედ, ხოლო პოსტსაბჭოთა სივრცეს, თავის გავლენის სფეროდ მიიჩნევს და ცდილობს, რეგიონში ჰეგემონის სტატუსი მოიპოვოს, რაც ხელს შეუწყობს მის ზესახელმწიფოდ ქცევის სტრატეგიულ ამბიციას, როგორც ეს „ცივი ომის“ პერიოდში გააჩნდა საბჭოთა კავშირს. რუსეთი თავისი სტრატეგიული მიზნის მისაღწევად ეფექტურად იყენებს სამხრეთ

კავკასიის კონფლიქტების მართვაზე თავისი გავლენის შესაძლებლობას და ხშირ შემთხვევაში ე. წ. „გაყინული“ კონფლიქტების გადაწყვეტის საფარქვეშ ხელს უწყობს მათ ესკალაციას.

ასევე გასათვალისწინებელია ამერიკის შეერთებული შტატების გეოსტრატეგიული ინტერესი სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ, რომელიც ევროპის და აზიის გასაყარზე აშშ-ის ძირითადი კონკურენტი სახელმწიფოების – რუსეთის, ირანის და ჩინეთის – გარემოცვაშია მოქცეული. ასევე აშშ-სთვის სამხრეთ კავკასიის რეგიონში პოზიციების განმტკიცება ხელს უწყობს მისი გავლენების გაძლიერებას ცენტრალურ აზიაში, რომელიც ძალიან მდიდარია, როგორც ენერგორესურსებით, ასევე სხვა ბუნებრივი რესურსებითაც. აშშ-ს რეგიონში გავლენების გასაძლიერებლად ესაჭიროება სტაბილური და უსაფრთხო გარემო და ამიტომ რეგიონში არსებული „გაყინული კონფლიქტების“ მართვასა და მათ მშვიდობიანი გზით გადაჭრაში აქტიურად მონაწილეობს. აშშ ხელს უწყობს რეგიონში სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას, დემოკრატიული მმართველობისა და ინსტიტუტების განვითარებას.

გარდა მსოფლიო და რეგიონული გავლენიანი პოლიტიკური აქტორების ინტერესებისა, სამხრეთ კავკასიისთვის უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები. სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ხელის შემშლელი ფაქტორია, რეგიონში უკვე არსებული აფხაზეთის, ცხინვალის და მთიანი ყარაბაღის ე. წ. „გაყინული კონფლიქტები“, რომელთა მართვის პროცესი და გადაწყვეტა ურთულეს ამოცანას წარმოადგენს ისტორიული მეხსიერების, აღქმების, ეთნიკური და კულტურული განსხვავებულობის, სადაო ტერიტორიების და კონფლიქტების ესკალაციით დაინტერესებული რეგიონული აქტორების გათვალისწინებით. სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის დილემას წარმოადგენს, რეგიონში არსებული სახელმწიფოების განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია, რომელიც შეუძლებელს ხდის ერთიანი რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციის ჩამოყალიბებას.

სამხრეთ კავკასიაში არსებული ე. წ. „გაყინული კონფლიქტების“ მართვისა და მათი ესკალაციის შესაძლებლობა, რუსეთისთვის ერთგვარ წარმოადგენს ინსტრუმენტს რეგიონში არსებულ სახელმწიფოებზე ზეწოლისა და გავლენების გაძლიერებისათვის.

საკვლევი თემა **აქტუალურია**, ვინაიდან თანამედროვე მსოფლიოში არსებული გამოწვევებიდან, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს რეგიონულ კონფლიქტებს, მათ შესაძლო გამომწვევ მიზეზებსა და კონფლიქტების მართვის შესწავლას. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველო საერთაშორისო სისტემაში პატარა სახელმწიფოთა კატეგორიას მიეკუთვნება და მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო შესაძლებლობები შეზღუდულია, ამავ დროს სამხრეთ კავკასიის რეგიონი გლობალური და რეგიონული გავლენის მქონე აქტორების ინტერესების ობიექტს წარმოადგენს, მათ შორის რუსეთის, რომელსაც რეგიონში არსებული კონფლიქტების მართვის პროცესზე დიდი გავლენა აქვს და ამ შესაძლებლობას, რეგიონში თავისი გავლენის განსამტკიცებელ ეფექტურ ინსტრუმენტად იყენებს.

კვლევას მნიშვნელობას მატებს 2020 წლის აზერბაიჯან-სომხეთის და 2022 წლის თებერვალში დაწყებული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტები. ორივე კონფლიქტის მართვის სადავეს აკონტროლებს რუსეთის ხელისუფლება და შესაბამისად, პირდაპირ კავშირშია რუსეთის საგარეო პოლიტიკის კურსთან. რუსეთისთვის, როგორც უკრაინა, ასევე სამხრეთ კავკასია და მათ შორის საქართველოც, წარმოადგენს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესის ობიექტს. შესაბამისად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, სიღრმისეულად შევისწავლოთ და გავაანალიზოთ აღნიშნული რეგიონის კონფლიქტები, კონფლიქტების მართვის რუსული ხედვა და მათი გამომწვევი ძირითადი მიზეზები.

კვლევის **მიზანია**, დაადგინოს რუსეთის სარგებლის მაქსიმუმის კორელაცია სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების წარმოქმნის ალბათობასთან.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, განვსაზღვრე შემდეგი **ამოცანები**: კვლევის ფარგლებში ვეცდები, გამოვკვეთო რაში მდგომარეობს რუსეთის ინტერესები სამხრეთ კავკასიის მიმართ; ვეცდები, განვსაზღვრო სხვა ძირითადი აქტორების ინტერესები და გავლენა რეგიონზე; ვეცდები, გამოვავლინო, რა დაინტერესება აქვს რუსეთს სამხრეთ

კავკასიის კონფლიქტების მართვის პროცესზე; ასევე გავანალიზებ სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების დარეგულირებაში ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობას.

კვლევის **სიახლეს** წარმოადგენს რაციონალური არჩევანის თეორიის და ნეორეალიზმის თეორიის გამოყენება სამხრეთ კავკასიის მიმართ, რუსეთის საგარეო პოლიტიკის და სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მართვის რუსული ხედვის ასახსნელად.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე **საკვლევი კითხვა** ფორმულირდა შემდეგნაირად: როგორ აისახება რუსეთის სარგებლის მაქსიმიზაციის სურვილი სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების წარმოქმნის ალბათობაზე?

კვლევის **ჰიპოთეზაა**, რომ რაც უფრო მზარდია რუსეთის სარგებლის მაქსიმიზაციის სურვილი ჰეგემონური პოლიტიკის ასპექტში, მით უფრო იზრდება სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების წარმოქმნის ალბათობა.

დამოუკიდებელი ცვლადია: რუსეთის სარგებლის მაქსიმიზაცია ჰეგემონურ პოლიტიკაში.

დამოკიდებული ცვლადია: რუსეთის მიერ სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების ესკალაციის ხელშეწყობა.

რუსეთის მიერ სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მართვის თეორიული ანალიზისთვის, ნაშრომი დაეყრდნობა მანკურ ოლსონის ნაშრომს „ქვეყნების აღმავლობა და დაცემა“, რომელშიც ავტორი წარმოაჩენს რაციონალური არჩევანის საინტერესო პოსტულატებს, რომლის მიხედვითაც ინდივიდუალური აქტორები და ინტერესჯგუფები მხოლოდ საკუთარი ინტერესების დასაცავად მოქმედებენ. ისინი ირჩევენ ისეთ ალტერნატივებს, რომელიც უზრუნველყოფენ მათი სარგებლის მაქსიმიზაციას და ამავე დროს ცდილობენ, რომ მათი ინტერესები წარმოაჩინონ საზოგადოების ინტერესებად და მიიღონ არჩეულ პოლიტიკურ კურსებსა და მიღებულ გადაწყვეტილებებზე საზოგადოების მხარდაჭერა. (Olson, 1984)

ნაშრომი რუსეთის საგარეო პოლიტიკის თეორიული ანალიზისათვის ძირითადად დაეყრდნობა ნეორიალიზმის სკოლის ყველაზე გავლენიანი მეცნიერის, ქენეთ უოლცის წიგნს „საერთაშორისო პოლიტიკის თეორიას“. ამ ნაშრომში ავტორი საერთაშორისო სისტემას ანარქიულად, ხოლო სისტემის აქტორებს მსგავსი ფუნქციების მქონე ერთეულებად წარმოგვიდგენს, რომელთა შორისაც შესაძლებლობათა ბალანსი ერთი ისტორიული ეპოქიდან მეორემდე იცვლება. (უოლცი, ადამიანი, სახელმწიფო და ომი: თეორიული ანალიზი, 2003) უოლცის მიხედვით სწორედ საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა განაპირობებს ცვლილებებს საერთაშორისო პოლიტიკაში და განსაზღვრავს შემადგენელი ერთეულების ქმედებებს, რომლებიც თავის მხრივ იყოფიან ძლიერ და სუსტ სახელმწიფოებად და შესაბამისად, მათი საგარეო პოლიტიკა ერთმანეთისგან ფუნდამენტურად განსხვავებულია. სუსტი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა შეზღუდულია და ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში გადარჩენის ამბიციით შემოიფარგლება, ხოლო ძლიერი სახელმწიფოები რეგიონული და გლობალური მოთამაშეები არიან, რომლებსაც საკუთარი პოზიციების გამყარებაზე და რეგიონულ და გლობალურ ჰეგემონიაზე აქვთ ამბიცია.

ქენეთ უოლცის შეხედულებებს ავსებს ჯონ მერშაიმერი წიგნში „დიდი სახელმწიფოების პოლიტიკის ტრაგედია“, რომლის მიხედვითაც ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში აქტორებმა არ იციან ერთმანეთის განზრახვის შესახებ და ამ პირობებში თითოეული მათგანი მოქმედებს რაციონალურად გადარჩენის მიზნით. მერშაიმერის აზრით, დიდი სახელმწიფოსთვის რთულია განსაზღვროს სიმშვიდისათვის აუცილებელი მინიმალური ძალა, ამიტომ დიდი სახელმწიფო ისწრაფვის ძალაუფლების მაქსიმიზაციისა და ჰეგემონიისკენ, რომელიც მერშაიმერისთვის არის ერთადერთი რაციონალური გამოსავალი. (Mearsheimer, 2001)

ნაშრომი ასევე დაეყრდნობა საჯარო პოლიტიკის თეორიის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან რაციონალური არჩევანის თეორიას და მის მიმდინარეობას რაციონალური არჩევანის ინსტიტუციონალიზმს, რომელიც პოლიტიკის შემუშავების კონტექსტში, ინსტიტუტებს წარმოგვიდგენს, როგორც კოლექტიური პრობლემების მოსაგვარებელ ინსტრუმენტს. აღნიშნული თეორია კარგად ხსნის რუსეთის პოლიტიკური ელიტის მიერ სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მართვისას მიღებულ პოლიტიკურ

გადაწყვეტილებებს, რომლებიც ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ მათ ინტერესებს და მათთვის სასურველი ალტერნატივების შერჩევით უზრუნველყოფს მიღებული სარგებლის მაქსიმიზაციას. აღსანიშნავია, რომ ამ თეორიის მიხედვით ინდივიდუალური აქტორები და ინტერესჯგუფები საკუთარ ინტერესებს წარმოაჩენენ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ინტერესებად.

აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები კონკრეტული ფენომენის კარგი ამხსნელობითი უნარებით გამოირჩევიან და შესაბამისად, რუსეთის საგარეო პოლიტიკა შესაძლოა რამოდენიმე მათგანის თეორიულ პრიზმაში გაანალიზდეს, თუმცა კვლევის ფარგლებში, ნაშრომი ძირითადად დაეყრდნობა ნეორეალიზმის თეორიას და ამ თეორიის ძირითად კონცეფციებს.

კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომის ამოცანაა დაადგინოს რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიის მიმართ და მისი რეგიონული ჰეგემონიის ამბიციის გავლენა რეგიონის უსაფრთხოებაზე და სტაბილურობაზე. განსაზღვროს რა ინტერესი აქვს რუსეთს სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მართვის პროცესზე, ეს მოგვცემს საშუალებას გავაკეთოთ რელევანტური დასკვნები და დავადასტუროთ ან უარვყოთ ცვლადებს შორის კორელაცია. აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად გამოვიყენე **თვისებრივი კვლევის მეთოდი** და მისი შემდეგი მეთოდური ტექნიკა - შემთხვევის შესწავლა (Case study) . ნაშრომში წარმოდგენილია მთიანი ყარაბაღის, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების შემთხვევები, რომლებმაც საკვლევი ფენომენის განზოგადების საშუალება მომცეს და დამემხმარნენ საკვლევი საკითხის საფუძვლიანად შესწავლა-გაანალიზებაში. კვლევის პროცესში გავაანალიზე საკვლევი საკითხზე მომუშავე მკვლევარების, მეცნიერების და ექსპერტების სამეცნიერო ლიტერატურა და მეორადი წყაროები, საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციების, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები, სტატიები, ქართული და უცხოური ბეჭდვითი პრესა და ელექტრონულ მედიაში მოძიებული მასალები. კვლევის ფარგლებში გამოვიყენე მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიური

ტექნიკა – სიღმისეული ინტერვიუ, რამაც მომცა საშუალება შემესწავლა ექსპერტთა შეხედულებები საკვლევი საკითხთან მიმართებაში. ზემოთ აღნიშნულმა გაწეულმა სამუშაომ უზრუნველყო კვლევის შედეგების მეცნიერული თვალსაზრისით რელევანტურობა და ჩემი ჰიპოთეზის გადამოწმება.

ლიტერატურის მიმოხილვა

რუსეთის საგარეო პოლიტიკის თეორიულ ჭრილში გასაანალიზებლად კვლევა ძირითადად დაეყრდნო საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ ყველაზე გავლენიანი თეორიული სკოლის ნეორეალიზმის და მისი მიმდინარეობის თავდასხმითი რეალიზმის მიგნებებს, ხოლო სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მართვის პროცესში რუსეთის გავლენისა და როლის გასაანალიზებლად ნაშრომი დაეყრდნო საჯარო პოლიტიკის თეორიის ისეთ მიმდინარეობას და მის ძირითად კონცეფციებს, როგორცაა რაციონალური არჩევანის თეორია და მისი მიმდინარეობა – რაციონალური არჩევანის ინსტიტუციონალიზმი.

ქენეთ უოლცი ნაშრომში „საერთაშორისო პოლიტიკის თეორიაში“ ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო სისტემაზე და სისტემაში წესრიგის განმსაზღვრელად შიდა პოლიტიკურ სტრუქტურას განიხილავს. იგი საერთაშორისო სისტემას ანარქიულად, ხოლო სისტემის აქტორებს მსგავსი ფუნქციების მქონე ერთეულებად წარმოგვიდგენს, რომელთა შორისაც შესაძლებლობათა ბალანსი ერთი ისტორიული ეპოქიდან მეორემდე იცვლება. უოლცის მიხედვით სწორედ საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა განსაზღვრავს ცვლილებებს და შემადგენელი ერთეულების ქმედებებს საერთაშორისო პოლიტიკაში. საერთაშორისო სისტემაში არსებობენ დიდი და პატარა სახელმწიფოები და მათი საგარეო პოლიტიკა ერთმანეთისგან ფუნდამენტურად განსხვავებულია: პატარა სახელმწიფო ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში გადარჩენის ამბიციით შემოიფარგლება, ხოლო დიდი სახელმწიფოს ამბიცია შესაძლოა ტერიტორიის შენარჩუნებიდან მსოფლიოს დაპყრობამდეც კი მივიდეს. (Waltz, 1979)

დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის კარგი ამხსნელობითი შესაძლებლობის მიუხედავად, ზემოთ აღნიშნულ თეორიას ახასიათებს გარკვეული

სახის ნაკლოვანებები - საერთაშორისო სისტემაში არსებულ წესრიგს უოლცი ბუნებრივ მოცემულობად მიიჩნევს, მისთვის ყველა აქტორი მსგავსი გამოწვევების პირისპირ დგას და მსგავს ამოცანებს წყვეტს. ისინი ერთმანეთისგან არათანაბარი შესაძლებლობებით განსხვავდებიან. იგი უგულებელყოფს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაზე საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკური პროცესების შესაძლო გავლენას. უოლცი ბუნებრივ მოცემულობად მიიჩნევს სახელმწიფოს საზღვრებს, სტრუქტურულ მოწყობას, მათ ურთიერთმიმართებას და ლეგიტიმაციას. უოლცი ყურადღების მიღმა ტოვებს სახელმწიფოში არსებულ პროგრესირებად მართვის ფორმებს და მათ შესაძლო გავლენას სისტემის ტრანსფორმაციის პროცესზე.

მიუხედავად ზემოთ ხსენებული ნაკლოვანებებისა ნეორეალიზმის თეორია არ კარგავს აქტუალობას და თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებს ძალიან კარგად ხსნის. თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფო კვლავ ასრულებს მთავარი აქტორის როლს და სახელმწიფოებს შორის ომის საფრთხეები კვლავ წარმოადგენს მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევას.

საერთაშორისო პოლიტიკის სასტიკ ბუნებას საინტერესოდ წარმოგვიდგენს ჯონ მერშაიმერი. მისი შეხედულებით საერთაშორისო ანარქიულ სისტემაში ძლიერ აქტორებს ერთმანეთის ემინიათ და ერთმანეთთან ბრძოლის ხარჯზე ცდილობენ გაძლიერებას. მათი საბოლოო მიზანი საერთაშორისო სისტემაში ჰეგემონის სტატუსის მოპოვებაა, რომელიც უზრუნველყოფს დაპირისპირების არიდებას და თვითგადარჩენას. (აკობია, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლები: ძირითადი ლიტერატურა და თანამედროვე კვლევითი დღისწესრიგი, 2021) მერშაიმერის მიხედვით, ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში აქტორებს ერთი მხრივ, აქვთ თავდასხმის შესაძლებლობა და მეორე მხრივ, არ იციან ერთმანეთის განზრახვის შესახებ. ამავე დროს არ არსებობს უზენაესი ძალაუფლება და კანონი, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო ანარქიულ სისტემაში წესრიგს. თითოეული აქტორისთვის მთავარ მიზანს გადარჩენა წარმოადგენს. მერშაიმერის აზრით, ძლიერი აქტორებისთვის რთულია სიმშვიდისთვის მინიმალური ძალის განსაზღვრა და სწორედ ამიტომ მიისწრაფვიან ძალაუფლების მაქსიმალურად გაძლიერებისა და ჰეგემონის სტატუსის მოსაპოვებლად. (Mearsheimer, 2001)

მერშაიმერისთვის აქტორის მხრიდან ძალაუფლების ზრდა საერთაშორისო სისტემაში გადარჩენის ერთადერთ და ყველაზე რაციონალურ საშუალებას წარმოადგენს. თავდაცვითი რეალიზმის კონცეფციით აქტორისთვის შესაძლოა მისაღები იყოს სტატუს-კვო, ხოლო თავდასხმითი რეალიზმისთვის სხვა სახელმწიფოების ხარჯზე ძალაუფლების მაქსიმიზაცია საუკეთესო რაციონალური არჩევანია.

მერშაიმერის თეორია ოულციის საერთაშორისო ანარქიული სისტემის ძირითად კონცეფციებს ეყრდნობა და შესაბამისად აქაც იგივე ნაკლოვანებების იდენტიფიცირებაა შესაძლებელი. მერშაიმერისთვისაც საერთაშორისო სისტემა, სისტემის შიგნით არსებული წესრიგი, გლობალური ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, ქვეყნებს შიგნით არსებული პოლიტიკური რეჟიმები და სტრუქტურები ბუნებრივი მოცემულობაა.

მისთვის საერთაშორისო სისტემაში არსებული წესრიგი მოცემულობაა და ყურადღების მიღმა ტოვებს სხვა შესაძლო გავლენის მქონე ფაქტორებს, როგორცაა გლობალიზაცია, საერთაშორისო სისტემაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე ქვეყნებს შიგნით არსებული სტრუქტურები, პოლიტიკური კურსები და მართვის ფორმები.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების გავლენიანი სკოლების მთავარ თეორიებზე და მათ ძირითად პრინციპებზე, მათ საერთო და განმასხვავებელ მახასიათებლებზე კარგად საუბრობს ეკა აკობია 2006 წელს გამოცემულ თავის სალექციო კურსში „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“.

ნაშრომი ასევე ეყრდნობა ნინო ოხანაშვილის სადისერტაციო ნაშრომს „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი“, სადაც ძალიან საინტერესოდ წარმოგვიდგენს სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებულ ეთნიკურ კონფლიქტებს და მათ გამომწვევ მიზეზებს. იგი ყურადღებას ამახვილებს საბჭოთა კავშირის დაშლის გავლენაზე სამხრეთ კავკასიის რეგიონის ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობებზე. ასევე მის ნაშრომში აქცენტი კეთდება რუსეთის სრატეგიულ

მიზნებზე, ინტერესებზე და მათ გავლენაზე სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების საკითხზე.

ნაშრომში გამოყენებულია ფრენკ ლოვეტის 2006 წლის სტატია „რაციონალური არჩევანის თეორია და ახსნა“ რომლის მიხედვითაც პოლიტიკური აქტორები საკუთარი ინტერესების დასაცავად მოქმედებენ და ცდილობენ მიღებული საგარეო თუ საშინაო პოლიტიკური გადაწყვეტილებები წარმოაჩინონ, როგორც საზოგადოებისთვის არსებული პრობლემების გადაჭრის საუკეთესო ალტერნატივა, რითაც ისინი უზრუნველყოფენ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას და საზოგადოების მხრიდან არჩეული პოლიტიკური კურსის ლეგიტიმაციას.

ნაშრომი ეყრდნობა ანელიზა დოდის 2013 წელს გამოცემულ „შედარებითი საჯარო პოლიტიკის“ სახელმძღვანელოსაც, სადაც განხილულია საჯარო პოლიტიკაზე ზეგავლენის მქონე საშინაო და საგარეო ფაქტორები, როგორც სახელმწიფო დონეზე, ასევე რეგიონულ და გლობალურ დონეზე. დოდის განიხილავს საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა თეორიებს, მათ შორის რაციონალური არჩევანის თეორიას და ინსტიტუციონალიზმს და წარმოგიდგენს ამ თეორიის საკვანძო კონცეფციებს.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებულ რთულ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე საინტერესო და ინფორმაციულ მიმოხილვას გვთავაზობს ჰაინრიხ ბიოლის ფონდის 2014 წელს გამოცემული სახელმძღვანელო „სამხრეთ კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და დიდი მოლოდინები“. ნაშრომში ყურადღება მახვილდება რეგიონისათვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებზე, საგარეო ძალების მიმართ რეგიონის დამოკიდებულებაზე, აშშ-ის, ევროკავშირის და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ურთიერთობებში არსებულ სირთულეებსა და გამოწვევებზე.

ზბიგნევ ბჟეზინსკი თავის ნაშრომში „დიდი საჭადრაკო დაფა“ ამბობს, რომ საერთაშორისო სისტემაში დიდ სახელმწიფოები არიან მოთამაშეები, საერთაშორისო სისტემა საჭადრაკო დაფაა, სადაც პატარა სახელმწიფოები პაიკები არიან. იგი საუბრობს აშშ-ის მსოფლიო ჰეგემონიის და ევრაზიის კონტინენტის მიმართ მისი გეოსტრატეგიული ინტერესების შესახებ. ავტორი ასევე ეხება ევროკავშირისა და ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების საკითხებს და რუსეთის როლს ამ პროცესში.

მიუხედავად საინტერესო შეხედულებებისა რიგ საკითხებზე ავტორის ხედვას ახასიათებს აშშ-ის ძლევამოსილების და მისი გეოსტრატეგიული მიზნებისადმი ფანატიკური დამოკიდებულება, რაც ნაშრომის მოწყვლად მხარეს წარმოადგენს. მაგალითად, ბჟეზინსკის აზრით, აშშ-ს აზიის მიმართ არ ჰქონია პირადი სტრატეგიული მიზანი და მხოლოდ „სუსტი ჩინეთის“ დაცვას ცდილობდა იაპონიისგან და რუსეთისგან. (ბჟეზინსკი, 2014, გვ. 7)

ნაშრომი ასევე ეყრდნობა მალხაზ მაცაბერიძის 2014 წელს გამოცემულ სალექციო კურსს „კავკასიის კონფლიქტების შედარებითი ანალიზი“, სადაც წარმოგიდგენს კავკასიის კონფლიქტების ქრონოლოგიას, არსებული კონფლიქტების საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს და კონფლიქტების ხასიათს. ასევე საუბრობს რეგიონის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე კონფლიქტების მძიმე გავლენების შესახებ.

ნაშრომში გამოყენებულია მაია მანჩხაშვილის სადისერტაციო ნაშრომი „თურქეთი და სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების საკითხი“, სადაც იგი საინტერესოდ წარმოაჩენს თურქეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ინტერესებს სამხრეთ კავკასიის მიმართ, ასევე თურქეთ-აშშ-ის და თურქეთ-რუსეთის ურთიერთობებს და მათი ინტერესების გადაკვეთას.

ნაშრომი ასევე ეყრდნობა სხვა არაერთი ავტორის საკვლევ თემასთან დაკავშირებულ კვლევებს, სტატიებს, საქართველოს და უცხოურ საინფორმაციო ვებ-გვერდებზე განთავსებულ საკვლევ თემის შესახებ ინფორმაციის შემცველ სტატიებს და ანგარიშებს, რომელსაც ეტაპობრივად წარმოგიდგენთ თემის გაშლისას.

თეორიული ჩარჩო

საჯარო პოლიტიკის თეორიის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან მიმართულებას წარმოადგენს რაციონალური არჩევანის თეორია და მისი მიმდინარეობა – რაციონალური არჩევანის ინსტიტუციონალიზმი, რომელიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საჯარო პოლიტიკის პროცესების ანალიზში, როგორც სახელმწიფო ასევე რეგიონულ და გლობალურ დონეზე. ამ თეორიის მიხედვით რაციონალური აქტორები

მოქმედებენ მხოლოდ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით და ცდილობენ სარგებლის მაქსიმიზაციას. ნაშრომის ფარგლებში ეს თეორია გამოყენებული იქნება სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მართვის პროცესზე რუსეთის როლის და გავლენის გასაანალიზებლად.

საჯარო პოლიტიკის თეორიების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თეორიის რაციონალური არჩევანის თეორიის მიმდევარი მეცნიერის მანკურ ოლსონის მიხედვით, პოლიტიკური ცვლილებებით დაინტერესებული ინდივიდების ზეგავლენის მოხდენის უნარის მქონე ჯგუფებად ფორმირება მხოლოდ შემთხვევების დამსახურებაა. ოლსენისთვის ინტერესჯგუფების გავლენები და მოტივაცია უკუპროპორციულადაა დაკავშირებული ჯგუფის ზრდასთან – რაც უფრო მეტად იზრდება ჯგუფი, მით მეტად მცირდება ინტერესჯგუფის მოტივაცია, ვინაიდან რაც უფრო დიდია ჯგუფი მით უფრო მეტადაა დაკავშირებული ჯგუფის ინტერესები საზოგადოების ინტერესებთან. ოლსენის მიხედვით, რაც უფრო მცირეა ინტერესჯგუფი, მით უფრო გავლენიანია და მეტი ეფექტურობით გამოირჩევა. მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციისათვის მსგავსი ინტერესჯგუფებისთვის დამახასიათებელია საკუთარი ინტერესების საზოგადოებრივ ინტერესებად წარმოჩენა. ასევე ოლსონი მიიჩნევს, რომ ინტერესჯგუფების არსებობა დაკავშირებულია იმ სახელმწიფოებთან, რომლებმაც რევოლუციები ან დიდი ომები გადაიტანეს. (Olson, 1984)

რაციონალური არჩევანის ინსტიტუციონალიზმის კონცეფცია ეყრდნობა აქტორების ინტერესებს, რომლებიც ზემოქმედებენ ინსტიტუტებზე და იქმნიან აქტორების პრიორიტეტების დასაკმაყოფილებლად. ამ მიდგომის მიხედვით ინსტიტუტების შეზღუდული ფუნქციონირება შესაძლოა აქტორების ინტერესებად აღვიქვათ. (დოდსი, 2019) რაციონალური არჩევანის ინსტიტუციონალიზმი პოლიტიკური პრობლემების მოსაგვარებლად ინსტიტუციური ეკონომიკის მიგნებებს ითვალისწინებს, სადაც შესაძლებელია მიმწოდებლებს გაეზარდოთ ძალაუფლება ინფორმაციაზე ან რესურსებზე მონოპოლიის საშუალებით. მსგავსი ოპორტუნისტული მოქმედების შესაძლებლობა უჩნდებათ აქტორების ინტერესების საფუძველზე შექმნილ ინსტიტუციებსაც.

ზემოთ აღნიშნული თეორიის ერთ-ერთ სისუსტედ შეიძლება მივიჩნიოთ მისი ფუნქციონალისტური ხასიათი. ვინაიდან პოლიტიკური ინსტიტუტები არსებობს კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად შესაძლოა დადგეს პერიოდი, როდესაც მათი საჭიროება აღარ იდგება და ინსტიტუტის არაეფექტურობის გამო უფრო ხელსაყრელი გახდეს ინსტიტუტებს გარეთ მუშაობა. (დოდსი, 2019) თუმცა მიუხედავად კრიტიკისა რაციონალური არჩევანის თეორია, ეს არის მეცნიერული თეორია, რომელიც გვთავაზობს ახსნის შესაძლებლობას დაკვირვებად ქცევის ანალიზზე დაყრდნობით. აღნიშნული თეორია ეყრდნობა ინდივიდის ფსიქოლოგიას – ინდივიდის გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენა აქვს მის სურვილებს, ინტერესებს, რწმენას. ინდივიდი მისი მენტალური მდგომარეობიდან გამომდინარე ირჩევს რაციონალურ, მისთვის ყველაზე დიდი სარგებლის მქონე ალტერნატივას, რომელიც საუკეთესოდ დააკმაყოფილებს მის მისწრაფებებს. ასევე აქტორებს და ინტერესჯგუფებს შეუძლიათ ინსტიტუტებზე ზემოქმედება და საკუთარი ინსტერესებისათვის გამოყენება.

რაციონალური არჩევანის თეორიის მიხედვით წარმოდგენილი შეხედულებები ინდივიდებისა და ინტერესჯგუფების შესახებ ძალიან კარგად ხსნის რუსეთის პოლიტიკური ელიტის მოქმედებებს და მათ მიერ მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა და მის მიერ ჩამოყალიბებულმა ინტერეს ჯგუფებმა შეძლეს რუსეთში ჩამოეყალიბებინათ მათი ინტერესების გამტარებელი ინსტიტუციები, რომელთა საშუალებითაც როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას, მხოლოდ მათი ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებენ. ასევე აღსანიშნავია, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკა, განსაკუთრებით რეგიონულ კოფლიქტების მართვის მიმართულებით, ინიციატორება საზოგადოებრივი ინტერესების და ეროვნული უსაფრთხოების საფარქვეშ. ინტერესჯგუფები ამით ახერხებენ შიდა სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაფარვას და საზოგადოების კონსოლიდაციას მტრის ხატის შექმნით, რაც უნარჩუნებს ძალაუფლებას და ამალმებს პოლიტიკური ელიტის რეგრესირებად რეიტინგს.

რაციონალური არჩევანის თეორიის კრილში სამხრეთ კავკასიის რეგიონის კონფლიქტების მართვის პროცესში რუსეთის როლის განხილვა საინტერესოა იმდენად,

რამდენადაც მნიშვნელოვანია გააზრებული იქნას რუსეთის საგარეო პოლიტიკა და სტრატეგიული ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ.

ასევე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სისტემაში კონკრეტული მოვლენის და მისი გამომწვევი მიზეზების გასაანალიზებლად და დასადგენად უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები. კვლევის ფარგლებში რუსეთის საგარეო პოლიტიკის და მისი გამომწვევი მიზეზების ასახსნელად გამოვიყენებ ნეორეალიზმის თეორიას.

ნეორეალიზმის ყველაზე ცნობილი და გავლენიანი წარმომადგენელია ქენეთ უოლცი. უოლცისთვის საერთაშორისო სისტემა ანარქიულია, მასში უზენაესი ძალა არ არსებობს და თავად ანარქიული სისტემა უზრუნველყოფს სისტემაში ჩართული აქტორებისთვის თვითგადარჩენაზე დამყარებულ წესრიგს. საერთაშორისო სისტემაში ჩართულ აქტორებს გააჩნიათ მოქმედების შეუზღუდავი არეალი და თავიანთი შესაძლებლობებიდან გამომდინარე განსაზღვრავენ საგარეო პოლიტიკას, რომლის მთავარი მიზანი თვითგადარჩენაა.

საერთაშორისო სისტემის უკეთ ასახსნელად ქენეთ უოლცი სისტემას ადარებს სახელმწიფოს შიდა სტრუქტურულ ერთეულებს, სადაც სისტემები ცენტრალიზებული და იერარქიულია, ხოლო მისგან ფუნდამენტურად განსხვავდება საერთაშორისო სისტემა, რადგან იგი დეცენტრალიზებული და არაიერარქიულია. იგი საერთაშორისო სისტემას 3 ძირითად ელემენტად წარმოგვიდგენს: 1) საერთაშორისო სისტემა ანარქიულია; 2) სისტემაში მოქმედებენ მსგავსი ფუნქციის მქონე ერთეულები; 3) ერთეულების შესაძლებლობები განსხვავებული და ცვალებადია. (უოლცი, ადამიანი, სახელმწიფო და ომი, 2003) უოლცის აზრით, სახელმწიფო საერთაშორისო სისტემის მთავარ აქტორს წარმოადგენს და საერთაშორისო სისტემის ზემოთ ხსენებული სტრუქტურა განსაზღვრავს მის საგარეო პოლიტიკას და ცვლილებებს საერთაშორისო პოლიტიკაში.

ქენეთ უოლცი თავის ნაშრომში „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“ საინტერესოდ წარმოგვიდგენს ანარქიული საერთაშორისო სისტემით განსაზღვრულ წესრიგში სუსტი და ძლიერი სახელმწიფოების ფუნდამენტურად განსხვავებულ საგარეო პოლიტიკას.

უოლცის მიხედვით სუსტი სახელმწიფოების შესაძლებლობები შეზღუდულია გლობალური და რეგიონული მასშტაბით. მათ სასიცოხლოდ მნიშვნელოვან მიზანს თვითგადარჩენა წარმოადგენს, ხოლო ძლიერი სახელმწიფოები მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე საერთაშორისო სისტემაში რეგიონულ და გლობალურ მოთამაშეებად გვევლინებიან, რომელთა თვითგადარჩენის სურვილი იცვლება რეგიონული და გლობალური ჰეგემონიის ამბიციით.

უოლცი წიგნში „ადამიანი, სახელმწიფო და ომი: თეორიული ანალიზი“ ცდილობს ახსნას ომის გამომწვევი მიზეზები და წარმოგვიდგენს ანალიზის სამ დონეს: 1) ინდივიდის დონე; 2) სახელმწიფო დონე; 3) საერთაშორისო სისტემის დონე. ინდივიდის დონის ანალიზის შემთხვევაში უოლცი ეყრდნობა კლასიკური რეალიზმის თეორიას და ომის გამომწვევ მიზეზად ადამიანის ბუნებას ასახელებს. იგი ამბობს, რომ ომები ხშირად გამოწვეულია პოლიტიკური ლიდერის გადაწყვეტილებებით. იგი არ გამორიცხავს სახელმწიფოს როლს, თუმცა, მისი აზრით, სახელმწიფო კი არ მოქმედებს, არამედ მასში მცხოვრები ხალხი, ხოლო მათ მოქმედებებს განსაზღვრავს პოლიტიკური ლიდერის გადაწყვეტილებები. (Waltz, 1979, გვ. 29) ნაპოლეონის ეპოქის ომები ინდივიდის დონის ნათელ მაგალითს წარმოადგენს.

სახელმწიფო დონის შემთხვევაში უოლცი ომის გამომწვევ მიზეზად სახელმწიფოების შიდა ორგანიზაციას მიიჩნევს. ავტორიტარული და ტოტალიტარული პოლიტიკის სისტემის მექანიზმები სახელმწიფოები მეტად არიან მიდრეკილი კონფლიქტებისკენ, ხოლო დემოკრატიული სახელმწიფოები მეტად არიან მშვიდობისკენ მიდრეკილნი და სხვა დემოკრატიული სახელმწიფოების წინააღმდეგ არ ომობენ. სახელმწიფოს დონის მიხედვით მხოლოდ სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემა არ არის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი. უოლცი მნიშვნელობას სხვა ფაქტორებსაც ანიჭებს: მაგალითად, როდესაც სახელმწიფოს ლიდერი პოლიტიკოსები შიდა სახელმწიფოებრივი პრობლემებიდან ცდილობენ მოსახლეობის ყურადღება საგარეო პოლიტიკისკენ მიმართონ. ასეთ შემთხვევაში ომის დაწყება შესაძლოა მომგებიანი აღმოჩნდეს შიდა სახელმწიფოებრივი განხეთქილების აღმოსაფხვრელად. მტრის ხატის შექმნით შესაძლებელია სახელმწიფოს შენარჩუნება, სამოქალაქო დაპირისპირებების თავიდან არიდება და დაქვემდებარებულებს შორის მეგობრული

ურთიერთობის შენარჩუნება. (უოლცი, ადამიანი, სახელმწიფო და ომი: თეორიული ანალიზი, 2003, გვ. 95)

უოლცი ინდივიდის და სახელმწიფო დონეს ნაკლები გავლენის მქონედ მიიჩნევს, ვიდრე საერთაშორისო სისტემის დონეს, თუმცა კონფლიქტის მიზეზის ასახსნელად აუცილებელს. მესამე დონის მიხედვით კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი საერთაშორისო სისტემის ანარქიულობაა, სადაც არ არსებობს უმაღლესის ხელისუფლება და ყველასთვის სავალდებულო სამართალი, რომელიც უზრუნველყოფს სისტემის წესრიგს და დაარეგულირებს აქტორებს შორის ურთიერთობას. აქედან გამომდინარე სისტემის შემადგენელ აქტორებსი თავად იღებენ გადაწყვეტილებებს და საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე შეუძლია ძალის გამოყენებაც. ამიტომ ძალა უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს სახელმწიფოებისთვის და ისინი მუდმივ მზადყოფნაში უნდა იყვნენ, რომ ძალას შესაბამისი ძალით უპასუხონ. (უოლცი, ადამიანი, სახელმწიფო და ომი, 2003, გვ. 96-97)

კონფლიქტები ხშირ შემთხვევაში ორი ან მეტი მიზეზითაა განპირობებული, შესაბამისად ერთი მათგანის მოგვარებით კონფლიქტი ვერ მოგვარდება. ამიტომ ადამიანის შეცვლა არ იქნება საკმარისი თუ ადამიანები არ იქნებიან რაციონალურები და სახელმწიფოები დემოკრატიულები. კონფლიქტებზე გავლენას ახდენს ანარქიულ სისტემა, ვინაიდან აქ არ არსებობს კონფლიქტების შემაკავებელი ფაქტორი. (უოლცი, ადამიანი, სახელმწიფო და ომი: თეორიული ანალიზი, 2003, გვ. 98)

უოლცის ამ თეორიის სამივე დონე შეესაბამება დღევანდელ რეალობას, სადაც ძლიერი სახელმწიფო წარმოადგენს მთავარ აქტორს საერთაშორისო სისტემაში და მას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ძალუმს გამოიყენოს ძალა და დაიწყოს კონფლიქტი სასურველი მიზნის მისაღწევად. ძლიერი სახელმწიფოს არჩეული ეს გზა შესაძლოა განპირობებული იყოს, როგორც ადამიანის ეგოისტური და ამბიციური ბუნებით, ასევე სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემით და საერთაშორისო ანარქიული სისტემის კარნახით.

მერშაიმერი განავრცობს უოლცის ნეორეალიზმის ორ მიმდინარეობას - თავდაცვით და თავდასხმით რეალიზმს. საერთაშორისო სისტემაში დიდი

სახელმწიფოების მთავარი მიზანი გადაარჩენაა, ხოლო ძალაუფლების ზრდა და ჰეგემონიის სურვილი ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალებაა. თავდაცვით და თავდასხმით რეალიზმს შორის საკვანძო განსხვავებად მერშიმერი ძალაუფლების სწრაფვას წარმოგვიდგენს - თავდავითი რეალიზმის შემთხვევაში სახელმწიფოები სტატუს-კვოს შენარჩუნებაზე არიან ორიენტირებული და არ აქვთ ძალაუფლების გაზრდის ამბიცია, ხოლო თავდასხმითი რეალიზმის შემთხვევაში დიდ სახელმწიფოს არ აკმაყოფილებს სტატუს-კვო და მუდმივად ცდილობს სხვა სახელმწიფოების ხარჯზე ძალაუფლების ზრდას და რეგიონული ჰეგემონიის დამყარებას, რომელიც მისთვის საუკეთესო გადარჩენის საშუალებაა. (აკობია, „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, 2006)

მერშიმერი თავდასხმითი რეალიზმის უკეთ აღსაქმელად წარმოგვიდგენს 5 ძირითად პრინციპს: 1) სისტემის ანარქიულობას და დიდ სახელმწიფოებს სისტემის გავლენიან აქტორებად; 2) სახელმწიფოების თავდასხმით შესაძლებლობებს; 3) სახელმწიფოების განზრახვებს და უნდობლობას; 4) გადარჩენას, როგორც სახელმწიფოების მთავარ მიზანს; 5) ძალაუფლების მაქსიმიზაციას, როგორც სახელმწიფოების რაციონალური არჩევანს. (აკობია, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლები: ძირითადი ლიტერატურა და თანამედროვე კვლევითი დღისწესრიგი, 2021)

მერშიმერის დასკვნით საერთაშორისო სისტემაში აქტორებმა არ იციან ერთმანეთის განზრახვის შესახებ, არ ენდობიან ერთმანეთს და თითოეული მათგანის ძირითად მიზანს გადაარჩენა წარმოადგენს. ამ მიზნის მისაღწევად პატარა სახელმწიფოები სტატუს-კვოს შენარჩუნებით შემოიფარგლებიან, ხოლო დიდი სახელმწიფოები ცდილობენ უსაფრთხოება ძალაუფლების მაქსიმიზაციით და რეგიონში ჰეგემონის სტატუსის დამკვიდრებით უზრუნველყონ. მერშიმერის მიხედვით დიდი სახელმწიფოები რაციონალური აქტორები არიან და უოლცისგან განსხვავებით მიიჩნევენ, რომ მათთვის „ომი კარგი იდეაა, თუ სარგებელი გადაწონის ხარჯებს“. (აკობია, „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, 2006)

ზემოთ აღნიშნული ნეორეალიზმის განშტოებების მიმოხილვიდან გამომდინარე, სამხრეთ კავკასიაში რუსეთის საგარეო პოლიტიკას და მის მიერ განხორციელებულ მოქმედებებს ძალიან დამაჯერებლად და ამომწურავად ხსნის მერშაიმერის თავდასხმითი რეალიზმი. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების იდენტიფიკაციისთვის თავდასხმითი რეალიზმი საუკეთესო ალტერნატივას წარმოადგენს. ამ თეორიის ძირითადი პოსტულატები ძალიან კარგად ხსნის რუსეთის საგარეო პოლიტიკის გამომწვევ მიზეზებს. რუსეთი ცდილობს საერთაშორისო სისტემაში ჰეგემონის სტატუსის, მისთვის არ არსებობს სტატუს ქვო და ცდილობს ძალაუფლების მაქსიმიზაციას. რუსეთისთვის, როგორც რაციონალური აქტორისთვის სტრატეგიული მიზნის მისაღწევად ომი კარგი საშუალებაა, თუ კი ომით გამოწვეულ დანაკარგებს ომით მიღებული სარგებელი გადაწონის, რომლის ნათელ მაგალითს წარმოადგენს 2008 წლის აგვისტოს ომი.

თავი 1. რეგიონული და გლობალური აქტორების ინტერესები სამხრეთ კავკასიის მიმართ

1.1. რუსეთის საგარეო პოლიტიკა და სამხრეთ კავკასია

სამხრეთ კავკასიის რეგიონი თავისი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული ეკონომიკური შესაძლებლობების გამო ყოველთვის წარმოადგენდა სხვადასხვა იმპერიების და სახელმწიფოების ინტერესის ობიექტს. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან სამხრეთ კავკასიის სტრატეგიულ ფუნქციაზე კონტროლი ჯერ მეფის რუსეთმა, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირმა მოიპოვა. საბჭოთა კავშირის დაშლის და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისთვის პრიორიტეტულ საგარეო პოლიტიკურ მიზნად იქცა, მათი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული ფუნქციის ამოქმედება და ეფექტური გამოყენება. აღნიშნული ხელს შეუწყობდა მათ სწრაფ განვითარებას და დამოუკიდებლობის განმტკიცებას, რაც თავისთავად დიდ წინააღმდეგობაში მოვიდა რუსეთის საგარეო პოლიტიკურ მიზანთან. რუსეთის პოლიტიკურ დოქტრინებში ხაზგასმულია სამხრეთ კავკასიის, შავი ზღვის და კასპისპირეთის რეგიონებში რუსეთის დომინაციის აუცილებლობის შესახებ. რუსეთის ეროვნული უსაფრთხოებისთვის უმნიშვნელოვანესია აღნიშნულ რეგიონში არსებული ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაცია, რაც უზრუნველყოფს მათზე ზეგავლენის საშუალებას. რუსეთი, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოს და საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეს გააჩნია რეგიონული ჰეგემონიის ამბიცია.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სამხრეთ კავკასიის რეგიონი დგას დილემის წინაშე - ერთი მხრივ ამ რეგიონის ქვეყნებს უნდათ დამოუკიდებლობის შენარჩუნება და განვითარება, მეორე მხრივ ეს სწრაფვა წინააღმდეგობაში მოდის რუსეთის ამბიციებთან და მისი გავლენებისგან თავის დასაღწევად აუცილებელია მუდმივი ბრძოლა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაჩნდა ერთი შეხედვით უალტერნატივო შეხედულება, რომ რუსეთი დასავლეთის მოკავშირე უნდა გამხდარიყო ნაცვლად მეტოქეობისა, როგორც ეს ცივი ომის პერიოდში ხდებოდა. ამ მოსაზრებას ამყარებდა

რუსეთში არსებული მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა და თვალსაჩინო ჩამორჩენილობა დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით. დასავლეთთან დაახლოების გარკვეული ნაბიჯების გადადგმა რუსეთის ხელისუფლებამ 1990 წლიდან არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური ქაოსის ფონზე დაიწყო. რუსეთის ხელისუფლებისთვის პრიორიტეტული გახდა დასავლურ ორგანიზაციებთან ინტეგრაცია: საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრობა 1992 წელს, პარტნიორობის შეთანხმება ევროკავშირთან, ევროპის საბჭოს წევრობა, ნდობის აღმდგენი ღონისძიებები და იარაღის შემცირება 1996 წელს. (Odling-Smee, 2004) დასავლეთთან დაახლოების ტენდენცია რადიკალურად შეიცვალა 1996 წელს, როდესაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა ევგენი პრიმაკოვი. მან შეიმუშავა დოქტრინა, რომელიც რუსეთის პოლიტიკის ქვაკუთხედად იქცა. „პრიმაკოვის დოქტრინის“ მიხედვით რუსეთს დასავლეთთან დაახლოების ნაცვლად პირდაპირი და ირიბი გზებით უნდა შეემცირებინა ამერიკის შეერთებული შტატების გავლენა.

„პრიმაკოვის დოქტრინის“ მიხედვით საერთაშორისო სისტემაში არ უნდა არსებობდეს ერთი დომინანტი სახელმწიფო, როგორც იქცნენ ამერიკის შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ნაცვლად ამისა უნდა შეიქმნას მულტიპოლარული საერთაშორისო სისტემა, სადაც იარსებებს რამდენიმე ძლიერი მოთამაშე, მათ შორის რუსეთიც, რომელთა განსხვავებული ინტერესები შეზღუდავს ამერიკის შეერთებული შტატების გავლენას და დაამხოვს მის მსოფლიო ჰეგემონიას. (RUMER, 2019, p. 3) რუსეთი ასეთ გლობალურ მოთამაშეებად ჩინეთს და ინდოეთს მიიჩნევს და მათთან თანამშრომლობით შესაძლებელია აშშ-თან ძალათა ბალანსის დაცვა. პრიმაკოვის დოქტრინა 3 ძირითად პრინციპზეა აგებული: პირველი ესაა რუსეთის ჰეგემონიის მოპოვება პოსტსაბჭოთა სივრცეში. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები უნდა იყვნენ რუსეთის სრული გავლენის ქვეშ მოქცეული, რაც თავის მხრივ ნიშნავს მათ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას. აქვე აღსანიშნავია, რომ რუსეთის ამბიცია ცენტრალურ აზიას და ახლო აღმოსავლეთის რეგიონებსაც სწვდება; მეორე პრინციპია ნატოს გაფართოების შეფერხება რუსეთის საზღვრებთან, რაც რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს და მიზნად ისახავს, აშშ-ის და მისი მოკავშირე

ქვეყნების დასუსტებას; მესამე პრინციპი დაკავშირებულია ჩინეთთან და ინდოეთთან სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბებასთან, რაც უზრუნველყოფს მულტიპოლარული საერთაშორისო სისტემის შექმნას და აშშ-ის გავლენების შემცირებას. (Odling-Smee, 2004)

ვლადიმერ პუტინმა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაიწყო ე. წ. „პრიმაკოვის დოქტრინის“ პრაქტიკაში გამოყენება და მისი საგარეო პოლიტიკა სწორედ პრიმაკოვის დოქტრინის ძირითად პრინციპებს ეყრდნობოდა. ამის ნათელი მაგალითია 2008 წელს საქართველოსთან წარმოებული ომი, რომელიც წარმოადგენს პრიმაკოვის დოქტრინის პირველი პრინციპის რეალიზებას, რომლის თანახმადაც პოსტსაბჭოთა სივრცე არის რუსეთის გავლენის სფერო, შესაბამისად რუსეთი უნდა გახდეს ჰეგემონი რეგიონში და შეამციროს სხვა აქტორების გავლენა სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესებზე.

„პრიმაკოვის დოქტრინის“ რეალიზებულ მეორე პრინციპის მაგალითად გამოდგება 2007 წლის მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე პუტინის სიტყვით გამოსვლა, სადაც გააკრიტიკა აშშ მსოფლიოზე უნიპოლარული პოლიტიკის თავის მოხვევის მცდელობაში – ახალი დამაბული კერების წარმოშობაში აშშ-ის როლი, ევროპაში სარაკეტო თავდაცვითი სისტემების დანარგვის გეგმა და ნატოს გაფართოების პროცესი. ასევე შეეხო კოსოვოს საკითხსაც და ნებისმიერი საერთაშორისო გეგმა, რომელიმე მხარის სასარგებლოდ რუსეთისთვის მიუღებლად მიიჩნია. (ასათიანი, 2007) რუსეთი განსაკუთრებულად მტკივნეულად აღიქვამდა ნატოს მხარდაჭერას კოსოვოში მცხოვრები ეთნიკური ალბანელების მიმართ, რასაც 1999 წელს მოჰყვა ნატოს შეიარაღებული ძალების მიერ სერბეთის დაბომბვა და საბოლოოდ 2007 წელს კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება. რუსეთმა მისი პრესტიჟის შელახვისთვის საკადრისი პასუხი მოუმზადა დასავლეთს აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარებით, რითაც საქართველო იქცა გეოპოლიტიკური თამაშების მსხვერპლად. (ოხანაშვილი, 2018) ეს იყო მკაფიო გზავნილი დასავლეთისთვის, რომ რუსეთი თავის საზღვრებთან არ დაუშვებდა ნატოს გაფართოებას და ამ მიზნის მისაღწევად სამხედრო ძალასაც გამოიყენებდა, რაც დაადასტურა 2008 წელს საქართველოში სამხედრო ინტერვენციით და ტერიტორიების ოკუპაციით. რუსეთმა

ერთი მხრივ, დასაჯა საქართველო პროდასავლური არჩევანისთვის და მეორე მხრივ, ზედმიწევნით შეასრულა პრიმაკოვის დოქტრინით განსაზღვრული ამოცანები და აღკვეთა ნატოს გაფართოების მცდელობა აღმოსავლეთით. ცხადია რუსეთი საქართველოზე არ შეჩერებულა და ამას მოჰყვა 2014 წელს ყირიმის ანექსია უკრაინაში, 2015 წელს რუსი სამხედროები სირიაშიც გამოჩნდნენ და 2022 წლის 24 თებერვალს უკრაინასთან წამოიწიეს ე.წ. „სპეცოპერაცია“, რომელიც დღემდე გრძელდება. ზემოთ აღნიშნული ფაქტები ადასტურებს, რომ რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეული სტრატეგიული დისბალანსის აღმოსაფხვრელად იყენებს ყველა შესაძლო საშუალებას, მათ შორის სამხედრო აგრესიას.

აღსანიშნავია, რუსეთის გაერთიანებული შტაბის უფროსის ვალერი გერასიმოვის ე. წ. „გერასიმოვის დოქტრინა“, რომელიც „პრიმაკოვის დოქტრინის“ განხორციელების თანამედროვე და ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს. იგი 2013 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ახალი თაობის ომის წარმოების მეთოდები“ საუბრობს თანამედროვე ომში ინფორმაციის ძალაზე და ამბობს, რომ ბრძოლა მიმდინარეობს არა სამ, არამედ ოთხ განზომილებაში: ხმელეთი, ზღვა, ჰაერი და საინფორმაციო ველი. მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ინფორმაცია წარმოადგენს. წარმატებული საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ოპერაციების შედეგად შესაძლებელია სამიზნე სახელმწიფოში ე. წ. „მეხუთე კოლონის“ შექმნა. რაც ნიშნავს ინტერესის სფეროში მოქცეულ სახელმწიფოში რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილი პირების, არასამთავრობო ორგანიზაციების და პოლიტიკური პარტიების ფორმირებას; საზოგადოების ფსიქოლოგიური დამუშავებას და ეფექტური გამოყენებას ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილების გაზრდის პროცესში და სამოქალაქო საზოგადოებაში ეთნიკური, რელიგიური და პოლიტიკური დაპირისპირების გაღვივებას. (Selhorst, 2016) „გერასიმოვის დოქტრინის“ პრაქტიკაში რეალიზების ნათელ მაგალითს წარმოადგენს 2014 წლის უკრაინაში ყირიმის ანექსიის პროცესი, სადაც წარმატებით იქნა გამოყენებული გერასიმოვის დოქტრინის ძირითადი კონცეფციები და მეთოდები.

პოსტსაბჭოთა პერიოდმა სხვა ტიპის გამოწვევების წინაშე დააყენა სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდა სახელმწიფოები: კერძოდ, ეს სახელმწიფოები ჯერ კიდევ იკვებებიან საბჭოთა პერიოდში არსებული ცხოვრების წესით, თითქოს მიეჩვივნენ გარე

ძალების კარნახით საგარეო კურსის გატარებას და შესაბამისად უჭირთ ჰქონდეთ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა. დასავლეთისკენ სწრაფვის და განვითარების გზაზე საქართველოსთვის დაბრკოლებას გარდა რუსეთის ინტერესისა წარმოადგენს საბჭოთა მენტალიტეტი, საბჭოთა სტილის მართვის ფორმები და მიდგომები. (მანჩხაშვილი, 2018, გვ. 33) ზემოთ აღნიშნულს ეფექტურად იყენებენ რუსული სპეცსამსახურები სამხრეთ კავკასიაში და ეფექტურად აწარმოებენ ე. წ. „რბილი ძალის“ პოლიტიკას.

რუსეთისთვის რბილი ძალის ძირითად ინსტრუმენტებს წარმოადგენს :

- რუსული პროპაგანდა: საქართველოში მოქმედი ლიბერალური კანონმდებლობის გათვალისწინებით მაუწყებლობის სფეროში რუსული პროპაგანდის გასავრცელებლად საკმაოდ ნოყიერი ნიადაგია. რუსული მედია საშუალებები მინიმალური სტანდარტების დაცვით ახორციელებენ სატელევიზიო მაუწყებლობას და მის ტრანზიტს საქართველოში. ასევე წარმატებით ახორციელებენ საინფორმაციო ომს ადგილობრივ სომხური და ქართული ბეჭდური მედიის საშუალებებით. მათი ნარატივი შეიცავს ძირითადად ანტიდასავლურ და ანტიამერიკულ რიტორიკას. საზოგადოებაში ქმნიან სტერეოტიპს, რომ დასავლეთი არის ჰომოსექსუალიზმის და გარყვნილების კერა, ხოლო რუსეთი ერთმორწმუნე და ქრისტიანობისათვის მებრძოლი ძალა; ასევე საზოგადოებაში თესავენ ნიჰილიზმს, რომ აზრი არ აქვს დასავლეთისკენ სწრაფვას, ვინაიდან ნატო და ევროკავშირი არასდროს მიგვიღებენ თავიანთ კოალიციებში; ასევე იქმნება მითები რუსეთის უძლველობის შესახებ და ა.შ.

გარდა მედიისა და საინფორმაციო საშუალებებისა რუსი სპეცსამსახურები თავიანთი პროპაგანდის გასავრცელებლად იყენებენ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთაგან შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი ჯგუფი: პირველი, რომელიც პროპაგანდისა და რიტორიკის საშუალებით ცდილობს საზოგადოების განწყობაზე გავლენის მოხდენას და მეორე, რომელიც აგრესიული მოქმედებებით ცდილობს ქვეყანა უსაფრთხოების თვალსაზრისით რთული გამოწვევების წინაშე დააყენოს. მათი ფინანსური შემოსავლები გაუმჭვირვალეა და ხშირ შემთხვევაში რუსეთისგან ფინანსდებიან. ბოლო პერიოდში შესამჩნევია მსგავსი ორგანიზაციების რაოდენობის

მზარდი ტენდენცია. (რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში, 2016, გვ. 5-7)

ასევე რუსული სპეცსამსახურებისთვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენენ პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ხელს უშლიან რეგიონში სტაბილური პოლიტიკური გარემოს შექმნას. გამოწვევად რჩება პარტიების გაუმჭვირვალე ფინანსები, მათი მონიტორინგი და ანგარიშგება, რაც წარმოქმნის დამატებით რისკებს რუსეთის მხრიდან პოლიტიკურ პროცესების დაფინანსებისა და ამ პარტიების საკუთარი მიზნით მანიპულირებისა. სომხეთსა და საქართველოში პოლარიზებული პოლიტიკური გარემო ამცირებს არსებული პარტიების რეიტინგს და იმედგაცრუებული ამომრჩეველი ექცევა პსევდოპატრიოტიზმით, ნაციონალისტური და ანტიდასავლური რიტორიკით გამორჩეული პარტიების რიტორიკის გავლენის ქვეშ. 2020 წლის NDI -ის წინასაარჩევნო კვლევის თანახმად მოსახლეობის 64% არ სჯერა, რომ პარლამენტი ითვალისწინებს მათ მოსაზრებებს, 68 %-ს კი მიაჩნია, რომ ისინი მხოლოდ საკუთარ ინტერესებს ემსახურებიან. (NDI, 2020, გვ. 4) საზოგადოების შექმნილი მსგავსი განწყობა პოლიტიკური პროცესების მიმართ, ხელს უწყობს პრორუსული ძალების პოზიციების გაძლიერებას.

- რელიგია: რუსეთისთვის ქრისტიანობა მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს რბილი ძალის პოლიტიკის განხორციელების პროცესში, რომელსაც ეფექტურად იყენებდა ჯერ კიდევ მეფის რუსეთიდან მოყოლებული თავისი იმპერიალისტური პოლიტიკის შესანიღბად. სამწუხაროდ დღესაც რუსეთი საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის „გარყვნილების“ წინააღმდეგ მებრძოლ ქრისტიანულ ძალას წარმოადგენს.

ეკონომიკური ურთიერთობა რუსეთთან: რუსული კაპიტალი სამხრეთ კავკასიაში წარმოდგენილია სხვადასხვა დარგში, როგორცაა ნავთობი, ენერჯო სექტორი, ჰიდრო რესურსები, სამთო-მოპოვება, მინერალური წყლები, ტურიზმი, საბანკო და ინვესტიციების მსხვილი სექტორები. (ინსტიტუტი, 2022)

რუსეთი ინტერესის სფეროში მოქცეული სახელმწიფოზე გავლენის გასაძლიერებლად ცდილობს აქციოს იგი ეკონომიკურად მასზე დამოკიდებული. ამის

ნათელ მაგალითს წარმოადგენს 2008 წლის ომამდე საქართველოს წინააღმდეგ დაწესებული ემბარგო, რა დროსაც საქართველოსთვის დაიხურა რუსეთის ფედერაციის ბაზარი, რუსეთიდან შეწყდა გაზომომარაგება, შეიზღუდა ფულადი გზავნილები და შრომითი მიგრაცია, დაწესდა სავიზო რეჟიმი და განხორციელდა საქართველოს მოქალაქეების დეპორტაცია. (რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში, 2016, გვ. 8) რუსეთის ამ ქმედებებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საქართველოს ეკონომიკას მაგრამ არ მოჰყვა მისი კოლაფსი.

აღსანიშნავია, რომ დღესაც ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორცაა ელექტროენერგია, მადნეული, წყალმომარაგება, მინერალური წყლები და განხორციელებული ინვესტიციების დიდი ნაწილი რუსულ კომპანიებზე მოდის. მაგალითად კომპანია „ინტერ რაო“, რომლის აქციონერებს წარმოადგენენ რუსული სახელმწიფო კომპანიები საქართველოში ფლობენ ენერგოსადისტრიბუციო კომპანია „თელასს“, ჰესებს „ხრამჰესი 1“, „ხრამჰესი 2“ და თბოსადგურ „მტკვარი ენერჯეტიკას“. ასევე ყველაზე მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის „ენგურჰესის“ მართვაც აღნიშნულ კომპანიისთვისაა გადაცემული. (ნატა ძველიშვილი, 2015, გვ. 5) ასევე რუსეთის მოქალაქეების საკუთრებაშია ნავთობ კომპანიები: „გალფი“, „ლუკოილი“, ძვირფასი ლითონების მომპოვებელი კომპანიები: RMG Copper და RMG Gold, მინერალური წყლების მწარმოებელი კომპანია „ბორჯომი“, კავშირგაბმულობის კომპანია „ბილაინი“, „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ და სხვა მრავალი კომპანიები. (ნატა ძველიშვილი, 2015, გვ. 6)

რუსეთის საგარეო პოლიტიკამ და სომხეთის პრობლემურმა ურთიერთობებმა მეზობელ სახელმწიფოებთან განსაზღვრა სომხეთის საგარეო პოლიტიკური ვექტორი. თურქეთთან დიპლომატიური ურთიერთობების არქონა და აზერბაიჯანის მხრიდან მომდინარე ომის საფრთხემ შეძლო სომხეთის საგარეო პოლიტიკური კურსი რუსეთისკენ მიემართა. თუმცა ამავდროულად სომხეთმა შეძლო საგანმანათლებლო, სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობის მიმართულებით ევროკავშირთან დაახლოება. სწორედ ევროკავშირთან დაკავშირებულმა პროექტებმა და ევროკავშირის რბილმა ძალამ შეძლო სომხეთის საზოგადოების ჩრდილო ვექტორიდან დასავლეთისკენ გადახრა, მიუხედავად სომხეთის პოლიტიკის ელიტის წინააღმდეგობისა, რასაც ადასტურებს 2018 წელს ერევანში განვითარებული

მოვლენები. სომხეთი ცდილობდა ორ რადიკალურად განსხვავებულ პოლიტიკურ ვექტორზე ისე გაეგლო, რომ ორივე მხრიდან სარგებელი მიეღო: ერთი მხრივ, სომხეთი რუსეთს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად ასახელებდა, ხოლო მეორე მხრივ, ევროკავშირის მხარდაჭერით სხვადასხვა პროექტებს ახორციელებდა და ხელს უწყობდა დემოკრატიული, პროგრესული და დასავლური პროცესების წარმართვას. ეს პროცესი ცხადია, რომ მიუღებელი აღმოჩნდა რუსეთისთვის. პირველ რიგში, რუსეთს არ უნდა მის საზღვარზე არსებობდეს დემოკრატიული და დასავლური ტიპის სახელმწიფო, ვინაიდან მათზე საკუთარი გავლენის მოხვევა თითქმის შეუძლებელი გახდება და ხელს შეუწყობს დასავლეთის მის საზღვრებთან მოახლოებას, ხოლო მეორე მხრივ, რუსეთისთვის სამეზობლოში ფერადი რევოლუციები და დემოკრატიული პროცესები შესაძლოა გახდეს მაინცირებელი რუსეთშიც დაიწყოს მსგავსი პროცესები, რაც თავისთავად მიუღებელია რუსეთის ავტორიტარული პოლიტიკური ელიტისთვის. ამიტომ რუსეთმა აამოქმედა მის ხელში არსებული ყარაბაღის ბერკეტი და 2020 წლის სექტემბერში დაიწყო კონფლიქტი აზერბაიჯანს და სომხეთს შორის, რის შემდეგაც სომხეთის დასავლეთისკენ გადახრილი ვექტორი ისევ ჩრდილოეთისკენ შეაბრუნა.

რაც შეეხება აზერბაიჯანს, გარდა რელიგიური განსხვავებულობისა საქართველოსა და სომხეთისგან, ასევე მას გააჩნია ენერგორესურსების დიდი მარაგი, რაც მას აძლევს საშუალებას შედარებით დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა განახორციელოს. რელიგიური განსხვავებულობა რუსეთისთვის დაუძლეველი ბარიერი აღმოჩნდა, ვინაიდან აზერბაიჯანისთვის რელიგიურად და კულტურულად მოძმე ერთი თურქეთია და მათ დევიზიც კი აერთიანებთ „ერთი ერი და ორი სახელმწიფო“. (ბატიაშვილი, 2020, გვ. 4) აზერბაიჯანს რესურსები საჭირო პარტნიორად აქცევს დასავლეთისთვის, თურქეთისთვის და რუსეთისთვის. ასევე აზერბაიჯანმა რუსეთის სამომავლო გავლენების თავიდან ასარიდებლად უარყო რუსეთის შეთავაზება ენერგორესურსების რუსეთის გავლით ევროპისკენ გატარებაზე და ისევ თურქეთის გავლით ენერგომარშრუტი აირჩია, რამაც ერთი მხრივ აარიდა რუსეთის გავლენების ქვეშ მოქცევას და მეორე მხრივ აშშ და თურქეთი დააინტერესა რეგიონის სტაბილურობით. ასევე აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროექტის წარმატებულმა ფუნქციონირებამ დააინტერესა მთელი მსოფლიო კავკასიის რეგიონით. რუსეთისთვის

სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენები - ფერადი რევოლუციები, დემოკრატიული პროცესები, რეგიონში არსებული მშვიდობიანი პერიოდი და დასავლეთის გავლენების გაძლიერება - მიუღებელი აღმოჩნდა რუსეთისთვის და ფსონი სამხედრო ძალაზე დადო. რუსეთმა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომით გამოწვეულმა რეგიონის არსტაბილურმა მდგომარეობამ დასავლეთის პოზიციები საგრძნობლად შეასუსტა, ხოლო რუსეთის პირიქით გააძლიერა.

ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის სტრატეგიულ მიზანს სამხრეთ კავკასიის რეგიონზე დომინირება და ჰეგემონის სტატუსის მოპოვებაა. ამ მიზნის მისაღწევად რუსეთი მზადაა მის ხელთ არსებული ყველა რესურსი და ინსტრუმენტი გამოიყენოს. რუსეთის საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის მიმართ ეყრდნობა პრიმაკოვის დოქტრინის ძირითად პრინციპებს და მისი განხორციელება ხდება პირველ რიგში რბილი ძალის გამოყენებით და სასურველი მიზნის ვერ მიღწევის შემთხვევაში, შემდეგი ნაბიჯი სამხედრო ძალის გამოყენებაა.

1.2. აშშ-ის საგარეო პოლიტიკა და სამხრეთ კავკასია

ზბიგნევ ბჟეზინსკის შეხედულებით „აშშ ჰგავს სახელმწიფოს, რომელიც იყენებს მოკავშირე ქვეყნების გეოპოლიტიკურ სივრცეს, პოლიტიკასა და სამხედრო შესაძლებლობებს ისე, რომ უნარჩუნებს მას სუვერენიტეტს, ეროვნულობას, ენას და კულტურას“. (ბჟეზინსკი, 2014, გვ. 7)

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აშშ-ის, როგორც მსოფლიო ჰეგემონის გავლენა კიდევ უფრო გაიზარდა და მისი ინტერესის სფეროში მოექცა ცენტრალური აზია და სამხრეთ კავკასია. აშშ-სთვის განსაკუთრებულ ინტერესთა ობიექტს წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის რეგიონი, ვინაიდან ერთი მხრივ მისთვის მიმზიდველია ამ რეგიონის გეოსტრატეგიული მდებარეობა და მეორე მხრივ ეს არის რეგიონი, სადაც აშშ-ს აქვს სურვილი მაქსიმალურად შეზღუდოს რუსეთის გავლენა. ასევე ამ რეგიონში გავლენების გაძლიერებით აშშ იქმნის პლაცდარმს უკეთ გააკონტროლოს ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლება და შეასუსტოს რეგიონში მისი გეოპოლიტიკური კონკურენტის ჩინეთის პოზიციები.

აშშ-ის ინტერესი სამხრეთ კავკასიის მიმართ შეანელა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებმა, რამაც აშშ-ის მთელი ყურადღება ავღანეთისა და შემდეგ ერაყის სამხედრო ოპერაციებზე გადაატანინა. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა აღმოჩნდა პლატფორმა, სადაც მოხდა აშშ-ის და რუსეთის ინტერესების დამთხვევა და მათი ანტიტერორისტულ კოალიციად ჩამოყალიბება. აღნიშნული მოვლენის გამოყენება სცადა რუსეთმა, როდესაც დაიწყო განცხადებები, რომ საქართველო ხელს უწყობს ტერორისტებს და ხდება მათი პანკისის ხეობაში თავმოყრა. მსგავსი საკითხით მანიპულირებით რუსეთი ცდილობდა დასავლეთისგან მწვანე შუქი აენთო და ანტიტერორისტული ოპერაციით შეენიღბა საკუთარი ზრახვები საქართველოს წინააღმდეგ. თუმცა ამის საპირისპიროდ საქართველომ და აზერბაიჯანმა თავი ანტიტერორისტული კოალიციის წევრებად გამოცხადეს და 2002 წელს საქართველომ ჩაატარა წარმატებული ანტიტერორისტული ოპერაციები პანკისის ხეობაში, რასაც წინ უსწრებდა აშშ-ის მიერ დაფინანსებული და ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების მიერ ჩატარებული „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა, რომელმაც აამაღლა ქართული საერთო საჯარისო შენაერთების ბრძოლისუნარიანობა და მომზადების დონე. (სამინისტრო ს. თ., 2002) ამ პროცესებმა განსაკუთრებულად გააუმჯობესა აშშ-ის და საქართველოს ურთიერთობა და ახალ საფეხურზე გადაიყვანა.

ამ პერიოდიდან აშშ აქტიურდება შავი ზღვისა და კასპისპირეთის რეგიონში და მისი გეოპოლიტიკური ინტერესები აშკარა წინააღმდეგობაში მოდის რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებთან. 1990-იან და 2000-იან წლებში სამხრეთ კავკასიის რეგიონში კლინტონისა და ბუშის ადმინისტრაციის ხელშეწყობით განხორციელდა ე. წ. „ამერიკული პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში“, რომელიც ხუთ ძირითად სფეროდ იყოფოდა: დემოკრატიის ხელშეწყობა, ფინანსური დახმარება, უსაფრთხოების პოლიტიკა, ენერგეტიკული პოლიტიკა და კონფლიქტების მოგვარების დიპლომატიური გზებით მოგვარება. (ზარიფიანი, 2018)

აშშ-მა რუსეთისგან რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკის გატარება დაიწყო სამხრეთ კავკასიაში: აშშ-მა სტრატეგიულ პარტნიორებად გამოაცხადა საქართველო და აზერბაიჯანი და ხელი შეუწყო რეგიონში დემოკრატიული და განვითარებული სახელმწიფოების შექმნას. აშშ-ის მხრიდან განხორციელდა არაერთი

მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური პროექტი, რომელიც ხელს უწყობდა რეგიონში დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას. სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და სტრატეგიული ენერგოპროექტები აღმოჩნდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) და ბაქო თბილისი-ერზრუმის (BTE), რომელთა წარმატებულმა განხორციელებამ ერთი მხრივ, ხაზი გაუსვა რეგიონში დასავლეთის გამარჯვებას და მეორე მხრივ, გახდა დამოუკიდებლობის გარანტორი აზერბაიჯანისა და საქართველოსთვის. ამას დაემატა 2017 წელს ბაქო-თბილისი-ყარსის რგინიგზის და 2018 წელს ტრანს-ანატოლიური (TANAP) პროექტის გახსნა. (მანჩხაშვილი, 2018, გვ. 45) ზემოთ აღნიშნული პროექტების წარმატებით განხორციელებაში გარდა აშშ-ის უდიდესი ძალისხმევისა აღსანიშნავია თურქეთის წვლილი, მისი დასაბათუბული რეკომენდაციები, რომ ეს მარშუტები იყო საუკეთესო ალტერნატივა და აზერბაიჯანი, რომელმაც ცალსახად ზურგი შეაქცია რუსეთის შემოთავაზებებს აღნიშნული პროექტების რუსეთის სასურველი მარშრუტებით განხორციელებას და ამით რუსეთს წაართვა ახალი ეკონომიკური ინსტრუმენტის შექმნის შესაძლებლობა, რომელსაც ეფექტურად გამოიყენებდა ევროპულ და მეზობელ სახელმწიფოებზე გავლენის მოსახდენად.

აშშ აქტიურადაა ჩაბმული რეგიონში არსებული კონფლიქტური საკითხების მოგვარების პროცესში. იგი მხარს უჭერს აფხაზეთში, ცხინვალსა და ყარაბაღში არსებული დავების მშვიდობიან გადაწყვეტას. აშშ მკაცრად აკრიტიკებს რუსეთის საგარეო პოლიტიკას მეზობელი სახელმწიფოების მიმართ და ამ პოლიტიკის საწინააღმდეგოდ პოლიტიკური და დიპლომატიური ზეწოლის გარდა არაერთი ეკონომიკური სანქციების ამოქმედების ინიციატორი გახდა. 2019 წლის თებერვალში აშშ-ის სენატში წარადგინეს კრემლის აგრესიისგან ამერიკის უსაფრთხოების დამცავი კანონპროექტი, სადაც კვლავ ასახულია საქართველოს მხარდამჭერი დებულებები. (სამინისტრო ს. ს., 2019)

აშშ რეგიონში მშვიდობიანი გარემოს დამკვიდრებას არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით მოგვარებაში ხედავს, სადაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი სახელმწიფოების დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაა. თუმცა ეს წინააღმდეგობაში მოდის რუსეთის გეოპოლიტიკური და რუსეთის მიერ

წახალისებული ეთნიკური ჯგუფების ინტერესებთან. აქედან გამომდინარე ძალიან დიდ გამოწვევას წარმოადგენს კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების ალტერნატივების შემუშავება რეგიონში რუსეთის გავლენების შესუსტების ან მისი მხრიდან სტაბილური სამხრეთ კავკასიის შექმნის ინტერესების გარეშე.

აშშ-ის ინიციატივით 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ შეიქმნა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი, რომელშიც აშშ-ის, ეუთოს, გაეროს და ევროკავშირის წარმომადგენლები. აღნიშნული ფორმატის ფარგლებში დისკუსიებში ჩართულნი არიან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარე და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. (აპარატი, 2019) რაც შეეხება მთიან ყარაბაღს, აქ კონფლიქტის მოგვარების პროცესზე ჩართულია ეუთო-ს მინსკის ჯგუფი, რომელსაც აშშ, რუსეთი და საფრანგეთი უწევენ ორგანიზებას.

2001 წლის სექტემბრის მოვლენების შემდეგ რელიგიური ექსტრემიზმის პრობლემის ფონზე დასავლეთისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა რეგიონში აზერბაიჯანის სეკულარულ და პლურალისტულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესის ხელშეწყობა. აღნიშნულ პროცესს ხელი შეუწყო აშშ-ის, თურქეთის და ისრაელის აქტიურმა ჩართულობამ, აზერბაიჯანის მოსახლეობის რელიგიისადმი ტოლერანტულმა მიდგომამ, თურქეთის მოძმე ერად აღქმამ და თურქეთის სამაგალითო მოდელად წარმოდგენამ. (პიპინაშვილი, 2008, გვ. 29)

აშშ-ის საგარეო პოლიტიკურ ვექტორს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ტერორიზმის წინააღმდეგ კოორდინირებული ბრძოლა და ანტიტერორისტული კოალიციის ჩამოყალიბება. ვინაიდან სამხრეთ კავკასიის რეგიონი პირდაპირ ესაზღვრება ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებს და მათ შორის ირანს, აშშ-სთვის პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა სამხრეთ კავკასიის რეგიონის ნატო-ში ინტეგრაცია, რასაც მოჰყვა კიდევ აშშ-სგან ქმედითი ნაბიჯები: დასავლეთ ევროპაში დისლოცირებული სამხედრო შენაერთების სამხრეთ-აღმოსავლეთით გადასროლის გეგმა და 2008 წლის 2-3 აპრილის ბუქარესტის სამიტი, სადაც უკრაინას და საქართველოს უარი ეთქვათ ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე (MAP), მაგრამ ალიანსისგან მიირეს მტკიცე პირობა, რომ საქართველო და უკრაინა აუცილებლად

გახდებიან ალიანსის წევრები. (ცენტრი, 2008) ზემოთ აღნიშნულმა მნიშვნელოვნად გაზარდა რეგიონის როლი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უსაფრთხოების სისტემისთვის.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში საქართველოსა და აზერბაიჯანისგან გასხვავებით სომხეთის საგარეო პოლიტიკური ვექტორი რუსეთზეა დამოკიდებული. ამ დამოკიდებულებას განსაზღვრავს, პირველ რიგში, სომხეთის რთული და პრობლემური ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან და მათთან ჩაკეტილი საზღვრები. ერთი მხრივ, თურქეთი სომხეთთან დიპლომატიურ ურთიერთობებს არ ამყარებს და ბლოკადაში ჰყავს სომხეთი მოქცეული და მეორე მხრივ, აზერბაიჯანის საომარი მზადყოფნა და მუქარა სომხეთს აიძულებს საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად რუსეთთან დაამყაროს სახედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა. (ბიოლი, 2014) ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სომხეთი საბჭოთა კავშირის დაშლის საწყის პერიოდში თავს არიდებდა აშშ-ის და ნატო-სთან ერთად რაიმე სახის უსაფრთხოების სტრატეგიის ჩამოყალიბების პერსპექტივებს. თუმცა ბოლო წლებში რუსეთ-სომხეთს შორის ურთიერთობის დამაბულობის პარალელურად სომხეთში ვითარება შეიცვალა და დაიწყო აშშ-თან ურთიერთობა. 2004 წელს აშშ-ის მიერ შექმნილი სახსრების გაცემის ინსტრუმენტი „Millenium Chalange Corporation“, რომლის საქმიანობის სფეროში ჩაება სომხეთი. ასევე აღსანიშნავია, რომ იგი ნატოს პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ წევრია საქართველოსა და აზერბაიჯანთან ერთად. (ზარიფიანი, 2018)

აშშ-სთვის სამხრეთ კავკასიის რეგიონი წარმოადგენს სტრატეგიული ინტერესების ჯაჭვის მნიშვნელოვან ნაწილს, ვინაიდან აღნიშნული რეგიონში პოზიციების განმტკიცება ხელს უწყობს მისი გავლენების გაძლიერებას ცენტრალურ აზიაში, რომელიც ძალიან მდიდარია როგორც ენერგორესურსებით ასევე სხვა ბუნებრივი რესურსებითაც. სამხრეთ კავკასიის რეგიონის სტაბილურობა, უსაფრთხო გარემო, ეკონომიკისა და დემოკრატიის განვითარება აშშ-ისთვის წარმოადგენს რეგიონთან თანამშრომლობის გაღმავების და გავლენების გაძლიერების ეფექტურ საშუალებას და შესაბამისად პრიორიტეტულ საგარეო პოლიტიკურ მიმართულებას.

1.3. თურქეთის საგარეო პოლიტიკა და სამხრეთ კავკასია

თურქეთის საგარეო პოლიტიკა რუსეთისგან განსხვავებით სამხრეთ კავკასიის მიმართ გამოირჩევა პრაგმატული მიდგომით. თურქეთი რეგიონში წარმატებით იყენებს ე. წ. „რბილი ძალის“ პოლიტიკის ინსტრუმენტებს, როგორცაა მუსლიმანი და თურქულენოვანი მოსახლეობა, ენერგოპროექტები, საგანმათლებლო ცენტრები.

1990-იანი წლებიდან მოყოლებული თურქეთი საქართველოსთვის სტრატეგიულ პარტნიორად იქცა. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ორივე სახელმწიფოს ინტერესები რეგიონში რუსეთის გავლენის შესუსტების შესახებ თანხვედრაში მოვიდა, რამაც ხელი შეუწყო მათ დაახლოებას. ასევე თურქეთისთვის საქართველო ერთგვარ ხიდს წარმოადგენს ცენტრალურ აზიაში გავლენების გასაძლიერებლად. თურქეთი ყოველთვის მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ძალისხმევას არ იშურებდა გაელრმავებინა პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა. თურქეთ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორცაა ეკონომიკა, ვაჭრობა, ენერგეტიკა, თავდაცვა და უსაფრთხოება.

კიდევ უფრო მეტად სტრატეგიული და ახლო ურთიერთობა აქვს თურქეთს აზერბაიჯანთან, რომელსაც აძლიერებს ეთნიკური მიკუთვნებულობა. თურქეთისთვის აზერბაიჯანი მთავარი სტრატეგიული პარტნიორია რეგიონში და მას სომხეთთან და რუსეთთან დამაბული ურთიერთობის ფონზე უწევს, როგორც პოლიტიკურ და ფინანსურ, ასევე სამხედრო დახმარებასაც, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა აზერბაიჯან-სომხეთის 2020 წლის კონფლიქტის დროს. (მაიკ ეკელი, 2020)

რაც შეეხება თურქეთ-სომხეთის ურთიერთობებს, აქ ვითარება რადიკალურად განსხვავებულია საქართველოს და აზერბაიჯანისგან. თურქეთს სომხეთთან არ აქვს დიპლომატიური ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად ისტორიული მახსოვრობა უდევს (1915 წლის მოვლენები). შესბამისად ჩაკეტილია საზღვრები და არ აქვთ სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობა.

რეგიონში გარდა სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობისა თურქეთის გავლენების ზრდას განსაკუთრებულად ხელს უწყობს რელიგია, არასამთავრობო სექტორი და

განათლება. აზერბაიჯანზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მხოლოდ საქართველოში 2014 წლის მონაცემებით 333 953 მუსლიმი ცხოვრობს (ვიკიპედია, ისლამი საქართველოში, 2020) და 300 მეტი მეჩეთი მოქმედებს. ასევე რეგიონში მოქმედებს არაერთი საქველმოქმედო და საგანმანათლებლო ცენტრი. მაგ. საქველმოქმედო ორგანიზაცია „მადლი“ და „მიზანი“ აფინანსებენ რეგიონში რელიგიურ საქმიანობას. ასევე აღდგენილია „ჰაფიზობის“ ინსტიტუტი, რომელიც ცნობილია ყურანის ზეპირად გადაცემის ტრადიციით. თბილისსა და ბაქოში წარმატებით ფუნქციონირებს „იუნუს ემრეს თურქული კულტურის ცენტრი“. ეს ცენტრი ახორციელებს მრავალფეროვან საგანმანათლებლო და კულტურულ პროგრამებს, რომელთაგან ბევრი უფასოა და ძალიან პოპულარული. ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში თურქი ბიზნესმენების მიერ გახსნილია 20-მდე სკოლა და ლიცეუმი. მაგ. სულეიმან დემირელის გახსნილი კერძო კოლეჯი „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“. (მანჩხაშვილი, 2018, გვ. 54-55)

ზემოთ აღნიშნული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ინსტრუმენტების ეფექტური გამოყენებით თურქეთი წარმატებით ახორციელებს სტრატეგიულ გეგმას გაიძლიეროს გავლენები სამხრეთ კავკასიაში და იქცეს რეგიონულ მოთამაშედ, რაც უსაფრთხოების თვალსაზრისით კიდევ უფრო დაუცველს ხდის სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს. გამონაკლისს სომხეთი წარმოადგენს, რომელთანაც, როგორც აღვნიშნეთ, არ აქვს დიპლომატიური ურთიერთობა და ვერ იყენებს თავის ძლიერ ინსტრუმენტებს, როგორც აზერბაიჯანსა და საქართველოში.

აღსანიშნავია თურქეთის მხარდაჭერა საქართველოსთვის უსაფრთხოების სფეროში: ერთი მხრივ, ჩრდილოატლანტიკური სივრცისკენ საქართველოს ინტეგრაციის ხელშეწყობა და მეორე მხრივ, საქართველოს თავდაცვის ძალების მშენებლობის პროცესში აქტიური მონაწილეობა.

თავი 2. რუსეთის როლი სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მართვის პროცესში (შედარებითი ანალიზი)

2.1. რუსეთის როლი აფხაზეთის კონფლიქტის მართვის პროცესში

მე-20 საუკუნის მიწურულს საბჭოთა კავშირის დაშლამ ხელი შეუწყო სამხრეთ კავკასიის რეგიონში კონფლიქტების გაღვივებას და ახალი სუვერენული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესს, რამაც მთლიანად შეცვალა რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური სურათი. რეგიონში გაჩნდა ახალი ძალთა ცენტრები და მათ შორის დაიწყო ბრძოლა ძალაუფლებისა და გავლენის სფეროების გადანაწილებისათვის, რასაც საბოლოოდ მოჰყვა აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონსა და ყარაბაღში ეთნიკური კონფლიქტები.

აფხაზეთის კონფლიქტის მართვის პროცესში მნიშვნელოვან აქტორად გვევლინება პოსტსაბჭოთა რუსეთი, რომელსაც კონფლიქტების მართვის შესაძლებლობით სურდა ჰქონოდა ბერკეტი პოსტსაბჭოთა სივრცეზე, მათ შორის სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებზე ზემოქმედებისათვის.

აფხაზეთის შემთხვევაში რუსეთმა ჯერ კიდევ საბჭოთა რუსეთის დროიდან ჩადებული ე. წ. „ნელი მოქმედების ნაღმი“ აამოქმედა, რომელსაც საბჭოთა რუსეთმა 1921 წელს საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ბათუმში ჩატარებულ აფხაზეთის რეგიონის სოციალისტურ რესპუბლიკად გამოსაცხადებელ რეფერენდუმზე ჩაუყარა საფუძველი. ამის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება მუდმივად აქეზებდა აფხაზ სეპარატისტებს და ხელს უწყობდა ქართულ-აფხაზურ ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირებას. სეპარატისტების ხელშეწყობა განსაკუთრებით აქტიურ ფაზაში შევიდა საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდში, როდესაც საქართველოში ზენიტში იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების აქტიურ მონაწილეობას აფხაზეთის კონფლიქტის მართვის პროცესში, ადასტურებს საბჭოთა კავშირის ბელადის გორბაჩოვის მიერ 1991 წელს ზვიად გამსახურდიას მიმართ გაფრთხილება, რომ საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გასვლის მცდელობის შემთხვევაში საქართველოს

შექმნებოდა პრობლემები ავტონომიურ წარმონაქმნებთან და ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. (ოხანაშვილი, 2018, გვ. 52)

საბჭოთა იმპერიის რღვევის შეუქცევადი პროცესის მიწურულს, როდესაც საქართველოში აქტიურ ფაზაში შევიდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო მშვიდობიანი საპროტესტო მიტინგების დარბევა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების დევნა, აგრეთვე ეთნიკური და სამოქალაქო დაპირისპირების ხელშეწყობა.

საბჭოთა ხელისუფლების მხარდაჭერით, 1988 წელს აფხაზეთში ჩამოყალიბდა ორგანიზაცია „აიდგილარა“, რომლის ამოცანას კრემლის ინტერესების მხარდაჭერა წარმოადგენდა და საბოლოო მიზნად აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობიდან გამოსვლა წარმოადგენდა. რაციონალური არჩევანის ინსტიტუციონალიზმის თეორიის ჭრილში ცალსახად იკვეთება კრემლის ინტერესჯგუფის ინტერესებითვის ჩამოყალიბებული ინსტიტუტების გამოყენება, ხოლო თავდასხმითი რეალიზმის ჭრილში იკვეთება რუსეთის ზესახელმწიფოდ დარჩენის სურვილი და სასურველი მიზნის მისაღწევად კონფლიქტების მართვის შესაძლებლობის ინსტრუმენტად გამოყენება.

კრემლის მიზანმიმართულმა მოქმედებებმა აფხაზეთის კონფლიქტის ესკალაციის მიზნით შედეგი გამოიღო და 1989 წელს „იდგილარას“ მიერ მიღებულ იქნა „ლიხნის მიმართვა“, რის მიხედვითაც აფხაზები მოითხოვდნენ აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფას და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესვლას. (ოხანაშვილი, 2018, გვ. 54) ამ პროვოკაციულ მოქმედებებს მალევე მოჰყვა კონფლიქტის ესკალაცია. თბილისში დაიწყო აფხაზეთის პრობლემებისადმი მიძღვნილი პერმანენტული აქციები და 1989 წლის 9 აპრილს მოხდა ძალიან მძიმე ტრაგედია, როდესაც სსრკ-ს ქვედანაყოფებმა უმოწყალოდ დაარბიეს მშვიდობიანი მიტინგი, რა დროსაც დაიღუპა 19 მშვიდობიანი მოქალაქე. აღნიშნულმა ტრაგედიამ კიდევ უფრო მეტად გააძლიერა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და შესაბამისად შეასუსტა საქართველოზე საბჭოთა ხელისუფლების გავლენა. კრემლისთვის ეს გახდა ერთგვარი ინდიკატორი ეთნოკონფლიქტების პროვოცირებისა.

კრემლის პოლიტიკის რაციონალური არჩევანის ინსტიტუციონალიზმის თეორიის რეალიზებულ მაგალითს წარმოადგენს, 1990 წლის 3 აპრილს სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს მიღებული კანონი, რომლის მიხედვითაც, საბჭოთა კავშირიდან გასვლის სურვილის მქონე რესპუბლიკა ვალდებული გახდა ავტონომიური წარმონაქმნებისათვის ცალკე ჩაეტარებინა საბჭოთა კავშირიდან გასვლის შესახებ რეფერენდუმი, რაც ემსახურებოდა რესპუბლიკების ტერიტორიული მთლიანობის რღვევას და კონფლიქტის ესკალაციას. ამ ნაბიჯით გამოიკვეთა კრემლის ინტერესების გამტარებელი ინსტიტუციების მხრიდან აფხაზეთის კონფლიქტების მართვაში აქტიური მონაწილეობა.

1992 წლის აგვისტოში კრემლის მიერ წახალისებული აფხაზი სეპარატისტები აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე მარცვავდნენ სატვირთო მატარებლებს. რეგიონში წესრიგის დამყარების მიზნით საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთში შეიყვანა პოლიციური და სამხედრო ქვედანაყოფები. აღნიშნული ფაქტი კრემლის ინტერესების გამტარებელმა სეპარატისტებმა პროვოკაციისთვის გამოიყენეს და ცეცხლი გაუხსნეს ქართულ ქვედანაყოფებს. ეს მოვლენა გახდა 1992-1993 წლების კონფლიქტის დაწყების საბაზი.

აფხაზეთის კონფლიქტის მართვაში რუსეთის როლის რაციონალური არჩევანის თეორიით გაანალიზება გვადლევს საშუალებას ავხსნათ რუსეთის პოლიტიკის ცვლილებით დაინტერესებული ინდივიდების გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რომელიც ეყრდნობა ინდივიდის რწმენებს, სურვილებს და ინტერესებს. ინდივიდების და ინტერესგუფების რაციონალური, საკუთარ ინტერესის გათვალისწინებით სახელმწიფო ინსტიტუტებზე ზემოქმედება და პოლიტიკური კურსის შერჩევა, რომელიც უზრუნველყოფს მათი სარგებლის მაქსიმიზაციას.

ნეორეალიზმის ჭრილში აფხაზეთის კონფლიქტი ეს იყო უფრო მეტი, ვიდრე ეთნიკური კონფლიქტი აფხაზებს და ქართველებს შორის, ეს იყო რუსეთის ომი კავკასიაში ჰეგემონიის მოსაპოვებლად, რასაც კარგად ხსნის თავდასხმითი რეალიზმის კონცეფცია, რომ ძლიერი სახელმწიფოებისთვის თვითგადარჩენის სურვილი იცვლება რეგიონული და გლობალური ჰეგემონიის სურვილით და მათი მთავარი მიზანი ხდება

ძალის მაქსიმიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო სისტემაში გავლენიანი აქტორის როლს.

2.2. რუსეთის როლი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტის მართვის პროცესში

როგორც აფხაზეთის, ასევე ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტის მართვისა და მისი ესკალაციის ხელშემწყობად გვევლინება პოსტსაბჭოთა რუსეთი, რომელსაც სურდა კონფლიქტების მართვის შესაძლებლობით საკუთარი გავლენა გაემლიერებინა სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ამ კონფლიქტის სადავებზე საბჭოთა კავშირის პერიოდიდან იღებს სათავეს, როდესაც 1917 წლის რუსეთში მომხდარი რევოლუციის შემდეგ, ქართველი და რუსი კომუნისტები საქართველოს ხელისუფლებაში მოსასვლელად შიდა ქართლში მცხოვრებ ეთნიკურად ოსებს ამხედრებდნენ საქართველოს მაშინდელი მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. საბოლოოდ საბჭოთა რუსეთის მხრიდან კონფლიქტის მართვის პროცესი 1922 წლის 20 აპრილს ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ჩამოყალიბებით დასრულდა.

1990-იან წლებში, როდესაც საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო, საბჭოთა ხელისუფლება შეეცადა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისევ ეთნიკურად ოსი ხალხი გამოეყენებინა. ამავე პერიოდში აიგო ცხინვალის რეგიონის რუსეთთან დამაკავშირებელი როკის გვირაბი, რომელმაც გაადვილა რუსეთის მხრიდან ოსური სეპარატიზმის წახალისება და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტის მართვის პროცესი.

1988 წლის ნოემბრიდან ცხინვალში ჩამოყალიბდა რადიკალური ორგანიზაცია „ადამონ-ნიხასი“, რომელიც მიზნად ისახავდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ საქართველოსგან გამოყოფას. შემდეგ სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანებას და საბჭოთა ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას. 1989 წლიდან „ადამონ-ნიხასის“ ორგანიზებით გაიმართა ეთნიკურად ოსების პირველი მიტინგები. 1990 წელს 20 სექტემბერს ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ საოლქო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის თაობაზე და იმავე დღეს გამოსცა

დეკლარაცია სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახება, რაც ნიშნავდა ცხინვალის ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობის იურისდიქციის შეწყვეტას.

კრემლის ორგანიზებით ოსი სეპარატისტების მიერ ცალმხრივად მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს შემადგენლობიდან გასვლის შესახებ, აგრეთვე 1990 წელს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები არ ცნო საქართველოს მთავრობამ და გააუქმა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური სტატუსი. ოსი სეპარატისტების გაუვნებელყოფის მიზნით საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება რეგიონში შეეყვანა მილიციის დანაყოფები, რომელსაც ოსმა სეპარატისტებმა წინააღმდეგობა გაუწიეს და დაიწყო შეიარაღებული დაპირისპირება. აღნიშნული კონფლიქტის ორგანიზატორმა რუსეთის ხელისუფლებამ ქართული მხარეს დასდო ბრალი კონფლიქტის ესკალაციაში. ამის შემდეგ საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა რეგიონიდან გაეყვანა მილიციის დანაყოფები. 1991 წლის 23 მარტს საქართველოს რესპუბლიკის მაშინდელი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას და რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბორის ელცინს შორის მოხდა შეხვედრა, რა დროსაც ხელი მოეწერა ოქმს მილიციის ერთობლივი რაზმის შექმნის შესახებ, რომელიც გაანიარაღებდა რეგიონში არსებულ სეპარატისტულ დაჯგუფებებს. მოგვიანებით ცხადი გახდა, რომ ეს რუსული სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილი საქართველოს ხელისუფლების სამხედრო გადატრიალების სპეცოპერაციის ნაწილი იყო. 1991-1992 წლებში საქართველოში მოხდა სამხედრო გადატრიალება, რის შემდეგაც ზვიად გამსახურდიამ საქართველოს ტერიტორია დატოვა და ხელისუფლება სამხედრო საბჭომ ჩაიგდო ხელში და ცხინვალის რეგიონში სამხედრო მოქმედებები განაახლა. ცოტა ხანში საქართველოში ხელისუფლება კვლავ იცვლება და ქვეყნის სათავეში ედუარდ შევარდნაძე მოდის, რომელიც 1992 წლის 24 ივნისს ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტ გალაზოვთან ერთად ხელს აწერს ცეცხლის შეწყვეტის ოქმსა და ოთხმხრივი სადამკვირვებლო ჯგუფის შექმნაზე. (ოხანაშვილი, 2018, გვ. 58-60) ამ მომენტიდან მალევე ქალაქ სოჭში იქმნება „შეთანხმება ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შესახებ“.

ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტის მართვის პროცესში რუსეთის პოლიტიკური ელიტის როლის გაანალიზების კარგ შესაძლებლობას იძლევა რაციონალური არჩევანის

თეორია. ამ თეორიის მიხედვით ინდივიდებისა და ინტერესჯგუფებისათვის საკუთარ ინტერესებზე მორგებული და მაქსიმალური სარგებლის მიღების მიზნით არჩეული პოლიტიკური კურსია დამახასიათებელი, რომელსაც საკუთარ ნებას დაქვემდებარებული სახელმწიფო ინსტიტუტების საშუალებით ახორციელებენ.

ნეორეალიზმის ჭრილში, რუსეთი ოსი სეპრატისტების ხელშეწყობით და კონფლიქტის ესკალაციით ცდილობდა საქართველოს დამორჩილებას და კავკასიის რეგიონში გავლენის გაძლიერებას, რომელიც ემსახურებოდა რუსეთის სტრატეგიულ მიზანს - რეგიონში ჰეგემონის სტატუსის მოპოვებას. რუსეთის მიერ არჩეულ საგარეო პოლიტიკურ კურსს და მიღებულ გადაწყვეტილებებს კარგად ხსნის თავდასხმითი რეალიზმის საკვანძო პოსტულატები.

2.3. რუსეთის როლი 2008 წლის აგვისტოს ომის მართვის პროცესში

რუსეთის რეგიონული ჰეგემონიის ამბიციის სისრულეში მოყვანის მიზნით სამხრეთ კავკასიის მიმართ არჩეული საგარეო პოლიტიკის კურსის გაგრძელებაა 2008 წლის აგვისტოს ომიც. რუსეთისთვის საქართველოში ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილება ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ მეშვეობით განგაშის სიგნალი აღმოჩნდა, ვინაიდან რუსეთის გავლენის სფეროებში, წარმატებულად მიმდინარე ხელისუფლების დემოკრატიული პროცესები შესაძლოა გადამდები აღმოჩენილი არამარტო პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისათვის, არამედ თვითონ რუსი ხალხისთვის, რაც თავისთავად რუსეთის პოლიტიკური ელიტისთვის ერთერთ უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა.

2004 წლიდან საქართველოს ხელისუფლებამ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით ღიად დააფიქსირა ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანების სურვილი, რაც რუსეთისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, ვინაიდან ეს ნიშნავდა ნატოს და შესაბამისად აშშ-ის მის საზღვრებთან მოახლოებას და გავლენების გაძლიერებას. ასევე ამავე პერიოდში მიხეილ სააკაშვილმა მთავარ მიზნად ამოცანად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა დასახა. ამის საპირისპიროდ რუსეთმა ცხინვალის და აფხაზეთის რეგიონებში მაცხოვრებლებისათვის რუსეთის მოქალაქეობის

მინიჭება დაიწყო, რითაც წინასწარ იმყარებდა პლაცდარმს, რათა საჭიროების შემთხვევაში ზემოთ აღნიშნულ რეგიონებში საკუთარი მოქალაქეების ინტერესები დაეცვა. ასევე საქართველოს არჩეული საგარეო პოლიტიკური კურსის გამო დასასჯელად გამოიყენა ეკონომიკური სანქციები. 2006 წლის იანვარში რუსეთმა საქართველო ენერგო ბლოკადაში მოაქცია. იმავე წელს გაზარდა საქართველოს წინააღმდეგ ემბარგოს მასშტაბი და საქართველოდან ღვინისა და მინერალური წყლების ექსპორტი შეზღუდა. 2006 წლის ოქტომბერში დაიწყო რუსეთში მცხოვრები ქართველების შევიწროება და შემდგომ განახორციელა მათი საქართველოში დეპორტაცია. 2006 წლის 2 ოქტომბრიდან რუსეთმა საქართველოსთან გაწყვიტა საავტომობილო, საავიაციო, სარკინიგზო, საზღვაო და საფოსტო კავშირები. (civil.ge, 2006)

რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა გაურესდა დასავლეთის მიერ 2008 წლის 17 თებერვალს კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ. რუსეთმა დაიწყო დიპლომატიური ნაბიჯების გადადგმა აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარებისთვის. რუსეთმა 2008 წლის 6 მარტს შეწყვიტა 1996 წელს დადებული შეთანხმება აფხაზეთთან პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ურთიერთობების შეზღუდვების შესახებ. ამის შემდეგ დაიწყო ზემოაღნიშნულ რეგიონებში რუსეთის შეიარაღებული ძალების ზრდა და სამხედრო ინფრასტრუქტურის მშენებლობა. 2008 წლის ივნისიდან დაიწყო ცხინვალის ტერიტორიაზე აფეთქებები და საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებული სოფლების მიმართ ცეცხლის გახსნა. (Civil.ge, 2017)

საბოლოოდ 2008 წლის 7 აგვისტოდან ეთნიკურად შეფერილ ქართულ-ოსური დაპირისპირება გადაიზარდა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტად. 2008 წლის 8 აგვისტოდან რუსების სამხედრო მოქმედებები გასცდა ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვრებს და რუსული სამხედრო შენაერთები საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ.

რუსეთის მხარის მტკიცებით ქართველებმა 2008 წლის 8 აგვისტოს ცეცხლი გაუხსნეს რუს სამშვიდობოებს და შესაბამისად იძულებული გახდნენ კონფლიქტში

ჩართულიყვნენ. ასევე რუსები ქართულ მხარეს ბრალს სდებენ ქალაქ ცხინვალში გენოციდის მოწყობაში, რომელი ბრალდებაც არ დადასტურებულა. ქართული მხარე უარყოფს ზემოაღნიშნულ ბრალდებას და ამტკიცებს, რომ თავდაპირველად ცეცხლი სწორედ რუსმა სამშვიდობოებმა გახსნეს და თვითონ იძულებული გახდნენ ბრძოლაში ჩართულიყვნენ. (ოხანაშვილი, 2018, გვ. 66)

რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ აგრესიული საგარეო პოლიტიკის სისტემური გაანალიზების საშუალებას იძლევა ნეორეალიზმის თეორიული ჩარჩო. აღნიშნული თეორია გვამლევს საშუალებას გავანალიზოთ რუსეთის სამხედრო აგრესიის გამომწვევი ფაქტორები, როგორცაა: რუსეთის როგორც დიდი სახელმწიფოს რეგიონული ჰეგემონიის ამბიცია, რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები კავკასიის მიმართ, საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული პროცესები და პროდასავლური ორიენტაცია, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისთვის გამაფრთხილებელი გზავნილი.

მერსაიმერის თავდასხმითი რეალიზმის მიხედვით დიდი სახელმწიფოების მთავარი მიზანი შესაძლოა თვითგადარჩენიდან რეგიონულ და მსოფლიო ჰეგემონიის სურვილამდე გაიზარდოს, რისთვისაც აუცილებელია ძალის მაქსიმალური ზრდა. ამ თეორიის მიხედვით, თუ დიდი სახელმწიფოს ძალაუფლების მაქსიმუმისთვის აუცილებლობას წარმოადგენს ომი, მაშინ ისინი მზად არიან იომონ, მიუხედავად შესაძლო დანაკარგებისა. 2008 წლის აგვისტოს ომით, რუსეთმა შეძლო შეეჩერებინა საქართველოს დაახლოება დასავლეთთან და შესაბამისად შეესუსტებინა რეგიონში ნატოსა და აშშ-ის გავლენა. აღნიშნული ომით რუსეთმა შეძლო გავლენების გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში და საერთაშორისო ასპარეზზე. ასევე მისი ინტერესების სფეროში მოქცეულ სახელმწიფოებს გაუგზავნა გამაფრთხილებელი გზავნილი, თუ რა საფრთხის წინაშე დადგებიან თუ გადაუხვევენ რუსული ორბიტიდან და აირჩევენ დასავლურ მიმართულებას.

2.4. რუსეთის როლი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მართვის პროცესში

სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში დადგნენ მსგავსი რეგიონული უსაფრთხოების გამოწვევების წინაშე. საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნამ, ენერგორესურსებმა და გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ რეგიონი მოაქცია რუსეთის განსაკუთრებული ინტერესების სფეროში. რუსეთმა სამხრეთ კავკასიის რეგიონის საკუთარი გავლენის ქვეშ მოსაქცევად სამივე სახელმწიფო ეთნოკონფლიქტებში ცეცხლში გაახვია. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტები ერთმანეთისგან თვისებრივად განსხვავდება, მათ აერთიანებთ რუსეთის ინტერესები და შესაბამისად მისი საგარეო პოლიტიკისგან მომდინარე საფრთხეები. აქედან გამომდინარე კვლევის ფარგლებში აუცილებელია მათი შედარებითი ანალიზი.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტების სათავეც საბჭოთა კავშირის პერიოდს უკავშირდება. საბჭოთა ხელისუფლებამ 1921 წლის 5 ივლისს მთიანი ყარაბაღი ჯერ სომხეთს მიაკუთვნეს, ხოლო მოგვიანებით აზერბაიჯანს დაუქვემდებარეს. აღნიშნული მოვლენის შემდეგ დაიწყო აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის დაპირისპირება, რასაც მალევე მოჰყვა სომხების კონტროლირებადი ტერიტორიებიდან აზერბაიჯანელების დევნა, ხოლო სომხების დევნა აზერბაიჯანის ტერიტორიებიდან. საბჭოთა კავშირის დაშლამდე 1989 წლის 1 დეკემბერს საბჭოთა ხელისუფლებამ მხარი დაუჭირა მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანთან მიერთებას. (მაცაბერიძე, 2014, გვ. 4) ყარაბაღში მოსახლეობის რაოდენობის მხრივ უმრავლესობაში მყოფი (დაახლოებით 90 %) სომხები პრეტენზიას აცხადებდნენ თვითგამორკვევის უფლებაზე და მთავარ არგუმენტად იშველიებდნენ, რომ თუ აზერბაიჯანს გააჩნდა საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის შესაძლებლობა, მაშინ მათაც უნდა ჰქონოდათ აზერბაიჯანისგან გამოყოფის უფლება. აზერბაიჯანი თავის მხრივ, აცხადებდა, რომ შესაძლოა მთიანი ყარაბაღისთვის მიენიჭებინათ ავტონომია.

რუსეთისთვის მთიანი ყარაბაღი გახდა აზერბაიჯანსა და სომხეთზე ზეგავლენის ისეთივე ინსტრუმენტი, როგორც საქართველოს შემთხვევაში აფხაზეთის და ცხინვალის

რეგიონი. რეგიონში არსებული კონფლიქტური გარემო რუსეთს ხელს უწყობდა საერთაშორისო ასპარეზზე სამხრეთ კავკასია წამოედგინა არასტაბილურ რეგიონად, რომელიც საჭიროებდა რუსეთის მხრიდან მედიაციას და მხარდაჭერას კონფლიქტების მოსაგვარებლად.

მთიან ყარაბაღში 1991 წელს დაწყებული კონფლიქტი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის საერთაშორისო საზოგადოება განიხილავდა, როგორც საბჭოთა კავშირის პრობლემას, ვინაიდან ორივე რესპუბლიკა იყო საბჭოთა შემადგენლობაში. 1992 წელს მთიანმა ყარაბაღმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რომელიც უკანონოდ ცნო აზერბაიჯანმა.

რუსეთმა კონფლიქტის მართვის პროცესზე გავლენის გასაძლიერებლად კონფლიქტის მხარეებს შესთავაზა ცალმხრივი წინადადება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რითაც ცდილობდა ჩაენაცვლებინა ეუთო-ს წინადადება, რომელიც საბოლოოდ წარმატებული აღმოჩნდა, ვინაიდან რუსეთს მიენიჭა რეგიონის მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტიის სტატუსი. რუსეთმა დაიწყო სომხეთის იარაღით მომარაგება, რაც სომხეთისთვის ერთგვარი სტიმული აღმოჩნდა კონფლიქტის განახლებისთვის. აქედან გამომდინარე ცალსახაა, რომ რუსეთმა საკვანძო როლი ითამაშა მთიან ყარაბაღში საომარი მოქმედებების განახლების პროცესში.

რუსეთმა 1994 წელს დადებული ცეცხლის შეწყვეტის მოკლევადიანი პოლიტიკური შეთანხმებით შექმნა მთიანი ყარაბაღის ე.წ. „გაყინული“ კონფლიქტი, რომელმაც გააძლიერა რეგიონში რუსეთის გავლენები და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა თავისი სტრატეგიული მიზნისკენ სწავვაში - რეგიონული ჰეგემონიის სტატუსის მოპოვება.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მართვის ბერკეტის ფლობა რუსეთს აძლევს შესაძლებლობას გააკონტროლოს/ხელი შეუშალოს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ეკონომიკური თანამშრომლობას, რაც თავის მხრივ შეასუსტებდა სომხეთის რუსეთზე დამოკიდებულებას, რომელიც რუსეთისთვის რეგიონში წარმოადგენს მთავარ საყრდენს. აქედან გამომდინარე რუსეთი ცდილობს შეინარჩუნოს სომხეთის პრორუსული ორიენტაცია. 2018 წელს სომხეთში მომხდარი ე.წ. „ხავერდოვანი რევოლუცია“, როგორც საქართველოში 2003 წელს „ვარდების რევოლუცია“ მიუღებელი

აღმოჩნდა რუსეთისთვის. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დემოკრატიული პროცესები პირდაპირ კავშირშია დასავლური პოლიტიკური კურსის არჩევასთან, შესაბამისად საფრთხის შემცველია რუსეთის პოლიტიკური ელიტისთვის. სწორედ ამიტომ რუსეთმა გადაწყვიტა დაესაჯა სომხეთი და „მწვანე შუქი“ აუნთო აზერბაიჯანს, რომელიც თავის მხრივ ათეული წლები ელოდა ხელსაყრელ მომენტს.

აზერბაიჯანი ყარაბაღის პირველ ომში განცდილი მარცხის შემდეგ თურქეთის სტრატეგიული მხარდაჭერით დაიწყო გამაღებელი შეიარაღება და სამხედრო სტრუქტურების თანამედროვე სტანდარტების მიხედვით ჩამოყალიბების პროცესი. ძლიერი ეკონომიკური მდგომარეობით და თურქეთის მხარდაჭერით აზერბაიჯანმა ძალიან მოკლე დროში აამაღლა სამხედრო ნაწილების ბრძოლისუნარიანობა. ასევე აღსანიშნავია თანამედროვე თურქული წარმოების უპილოტო საფრენი აპარატების შესყიდვისა და სამხედრო ბრძოლის ტაქტიკაში დანერგვის გადაწყვეტილება.

საბოლოოდ 2020 წლის ივლისში დაიწყო სამხედრო შეტაკებები სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, რომელიც ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა და აზერბაიჯანმა, რომელიც სამხედრო თვალსაზრისით გაცილებით აღემატებოდა სომხეთის სამხედრო შესაძლებლობებს, მოიპოვა აშკარა უპირატესობა. აღნიშნულიდან გამომდინარე სომხეთის პრემიერ მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი იძულებული გახდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებისათვის დახმარება რუსეთისთვის ეთხოვა. 2021 წლის 11 იანვარს რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ორგანიზებით მოსკოვში მოხდა სომხეთის პრემიერ ნიკოლ ფაშინიანის და აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის შეხვედრა. აღნიშნულ შეხვედრაზე მოხდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევა.

როგორც მთიანი ყარაბაღის, ასევე ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის კონფლიქტები ცხადყოფს, რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებს სამხრეთ კავკასიის მიმართ. რუსეთი ცდილობს ზემოაღნიშნული კონფლიქტების მართვის პროცესზე გააჩნდეს მუდმივი ზეგავლენა, რათა შეძლოს რეგიონზე საკუთარი გავლენის მოხვევა და სასურველი პოლიტიკური კურსების გატარება, რომელიც უზრუნველყოფს რუსეთის სტრატეგიული მიზნის მიღწევა - გახდეს რეგიონული ჰეგემონი და აღკვეთოს ნატოს, აშშ-ის და ევროკავშირის მის საზღვრებთან გაფართოება.

თავი 3. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების დარეგულირებაში ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციები

საბჭოთა კავშირის დაშლამდე სამხრეთ კავკასიაში დაწყებული კონფლიქტებით დაინტერესებულ არცერთ მხარეს არ სურდა უშუალოდ ჩართულიყო კონფლიქტის მართვის პროცესში. ამიტომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში დაწყებული კონფლიქტების გადასაწყვეტად იყენებდნენ ისეთ ორგანიზაციებს, როგორცაა გაერო, ევროკავშირი, ეუთო და ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო. (NACC) საერთაშორისო საზოგადოებისთვის კონფლიქტების პრობლემის გადაჭრის პროცესში ძირითად ალტერნატივას წარმოადგენდა მრავალმხრივი ინსტიტუციების ჩართულობა. აქედან გამომდინარე ნაშრომის ფარგლებში მიმოვიხილავ პოსტსაბჭოთა პერიოდიდან სამხრეთ კავკასიის უშუალოდ კონფლიქტების მოგვარების პროცესში ჩართულ საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობას და არა ჰუმანიტარული მისიით ჩართულ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს.

3.1. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების დარეგულირებაში ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციები

1990-იან წლებში საქართველოში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების მოგვარების საუკეთესო ალტერნატივად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მოგვევლინა, რომლის ჩართულობაც იმედისმომცემ და ეფექტიან ინსტრუმენტად გამოიყურებოდა, ვინაიდან გაეროს ჩართულობამ ბოსნიის, ისრაელის და პალესტინის შემთხვევებში შექმნა ახალი პოლიტიკური რეალობა.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების მოგვარების პროცესში დასავლური მედიაციის ინსტრუმენტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1993 წელს ჩამოყალიბებული სადამკვირვებლო მისია (UNOMIG) წარმოადგენდა, რომელიც ერთი წლის შემდეგ გაფართოვდა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა, რეალურად რუსეთის სამშვიდობო ძალების საქმიანობის მონიტორინგიც მოიცავდა. ზემოთ აღნიშნულ კონფლიქტებში რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით გაერომ

თავი შეიკავა საქართველოში სრულმასშტაბიანი სამშვიდობო ძალების განთავსებისგან. (შაიშმელაშვილი, 2021)

გაეროს მისიის მთავარ ამოცანებს წარმოადგენდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების მონიტორინგი; დევნილების დაბრუნების ხელშეწყობა და ადამიანის უფლებათა დაცვა. (ვიკიპედია, გაეროს მისია საქართველოში, 2015)

1993 წლის 24 აგვისტოს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო N858 რეზოლუცია, რომელმაც 88 ადამიანით დაკომპლექტებულ მისიას მისცა მოქმედებათა 6 თვიანი მანდატი, რომელსაც ევალუბოდა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი. თუმცა აფხაზური მხარის მიერ შეთანხმების დარღვევის და კონფლიქტის ესკალაციის შემდეგ გაეროს უშიშროების საბჭომ N881 რეზოლუციით შეამცირა მისიის მოცულობა, ხოლო 1994 წლის 31 იანვარს შეწყვიტა მისიის მოქმედება სამშვიდობო პროცესში სიტუაციის გაუმჯობესებამდე. 1994 წლის 22 დეკემბერს გაერომ გაზარდა მისიის მოცულობა და მანდატი 2004 წლამდე გაახანგრძლივა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ გაერომ გააფართოვა და დამატებითი უფლებამოსილებებით აღჭურვა მანდატი, რომელიც გაგრძელდა 2009 წლის 15 ივნისამდე. მალევე მანდატის ვადის გასვლის შემდეგ, რუსეთმა ვეტო დაადო საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მანდატის გაგრძელებას. (ვიკიპედია, გაეროს მისია საქართველოში, 2015)

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ 2008 წლის 15 ოქტომბერს შეიქმნა საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი, რომელიც „ჟენევის ფორმატის“ სახელითაა ცნობილი. ამ ფორმატის ფარგლებში გაეროს, ევროკავშირის და ეუთოს ხელმძღვანელობით იმართება მოლაპარაკებები კონფლიქტის მონაწილე მხარეებს – რუსეთის ფედერაციის და საქართველოს წარმომადგენლებს შორის. მოლაპარაკებებში ასევე მონაწილეობას იღებენ აშშ-ის, ოკუპირებული ცხინვალის და აფხაზეთის რეგიონების წარმომადგენლები. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები არის ნეიტრალური ფორმატი, სადაც მონაწილეები ინდივიდუალური სტატუსით არიან წარმოდგენილი. ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატის მიზანია რეგიონის უსაფრთხოების კომპლექსური მექანიზმების და რეგიონის უსაფრთხოების გარანტიების

შემუშავებას, რომელიც მოცავს ქართულ-აფხაზური, ასევე ქართულ-ოსური კონფლიქტების არეალსაც, ითვალისწინებს აფხაზური და ოსური მხარეების ინტერესებს და განსაზღვრავს მათ წილ პასუხისმგებლობებს. (ვიკიპედია, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები, 2021)

რუსეთმა დასავლეთის მხრიდან კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების საპასუხოდ, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ აღიარა აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობა. ამის შემდეგ რუსეთის მიერ გამოყენებული ვეტოს საფუძველზე შეწყდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში ეუთოს და გაეროს მისიები. დღეს საქართველოში ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატი არის ერთადერთი საერთაშორისო დონის პლატფორმა კონფლიქტში ჩართული და დაინტერესებული მხარეების მოლაპარაკებების უზრუნველსაყოფად. ამ ფორმატის ფარგლებში განიხილება უსაფრთხოების საკითხები. ასევე აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის და დევნილების პრობლემები და საჭიროებები. ჟენევის მოლაპარაკებები წელიწადში ოთხჯერ იმართება ორ პარალელურ სამუშაო ჯგუფში. პირველ სამუშაო ჯგუფში განიხილავენ უსაფრთხოების საკითხებს, რუსეთსა და საქართველოს შორის ძალის გამოყენებლობის და ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების ჩამოყალიბების შესახებ. მეორე სამუშაო ჯგუფში მთავარი დღის წესრიგია ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების, ჰუმანიტარული და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების, საოკუპაციო ხაზზე თავისუფალი გადაადგილების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ საკითხები. (ვიკიპედია, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები, 2021)

ჟენევის ფორმატის ფარგლებში 2010 წლის 23 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლისას „ცალმხრივი დეკლარაციის“ ფორმით დადო პირობა ცეცხლის არგამოყენების შესახებ: „საქართველო არასოდეს გამოიყენებს ძალას რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე კონტროლის აღსადგენად და მხოლოდ თავდასხმის შემთხვევაში დაიტოვებს ძალის გამოყენების უფლებას“. (ვიკიპედია, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები, 2021)

რუსეთსა და საქართველოს შორის ძალის არ გამოყენების შესახებ ორმხრივი შეთანხმება რამოდენიმე ძირითადი მიზეზის გამო ვერ ხერხდება. პირველ რიგში საქართველოსთვის მიუღებელია ხელშეკრულების მხოლოდ სოხუმთან და ცხინვალთან გაფორმება, რაც ნიშნავს კონფლიქტის მხარედ რუსეთის ნაცვლად ცხინვალის და სოხუმის ცნობას; მეორე მიზეზს წარმოადგენს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი - საქართველოსთვის თბილისსა და ცხინვალს, თბილისსა და სოხუმს შორის გაფორმებული ხელშეკრულება წარმოადგენს ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისთვის პოლიტიკური ლეგიტიმაციის მინიჭებას; მესამე მიზეზი ესაა რუსეთის ფედერაციის მიერ სოხუმთან გაფორმებული ხელშეკრულება „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის“ შესახებ და ცხინვალთან დადებული შეთანხმება „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის“ შესახებ. (ვიკიპედია, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები, 2021)

რუსეთის პოზიციას ძალის არ გამოყენების ხელშეკრულების შესახებ ეყრდნობა შემდეგ მოთხოვნებს: პირველი უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება თბილისსა და სოხუმს, თბილისსა და ცხინვალს შორის. ამ შემთხვევაში რუსეთი აშშ-სთან და ევროკავშირთან ერთად იქნება ძალის არ გამოყენების გარანტორი; მეორე ეს ეხება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონიდან დევნილების უკან დაბრუნების საკითხს, რომელსაც ეწინააღმდეგებიან ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის წარმომადგენლები. (ვიკიპედია, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები, 2021)

რაც შეეხება ჟენევის მოლაპარაკებების შედეგებს, ყველაზე ხელშესახებ შედეგად მიიჩნევა ე.წ. „ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი“, რომელზე შეთანხმებაც 2009 წლის ჟენევის მოლაპარაკებების მეოთხე რაუნდზე მოხერხდა. ეს მექანიზმი მოიცავს ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში გალსა და ერგნეთში მხარეებს შორის შეხვედრებს, რომელსაც თავმჯდომარეობენ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელძღვანელი და გაეროს და ეუთოს წარმომადგენლები. შეხვედრაში ასევე მონაწილეობას იღებენ თბილისის, სოხუმის, ცხინვალის და ოკუპირებულ ტერიტორიაზე განთავსებული რუსული ჯარის წარმომადგენლები. (ვიკიპედია, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები, 2021) შეხვედრების მიზანს წარმოადგენს უსაფრთხოების უზრუნველყოფის გამოწვევების გადაწყვეტა,

ინციდენტების განხილვა და მათზე ოპერატიული რეაგირების უზრუნველყოფა. ასევე არსებობს ცხელი ხაზი ინციდენტების პრევენციისა და მათზე დროული რეაგირებისათვის.

„ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის“ ფორმატი ცხინვალის რეგიონში შეფერხების გარეშე ფუნქციონირებს, ხოლო რაც შეეხება აფხაზეთს 2012 წლის 24 აპრილს მათ უარი განაცხადეს მონაწილეობაზე და მიზეზად ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი ანდჟეი ტიშკევიჩი დაასახელეს. შეწყვეტილი ფორმატის განახლება მოხდა 4 წლის შემდეგ 2016 წლის 27 მაისს.

კონფლიქტის გადაწყვეტის პროცესში საკვანძო როლს ასრულებს დაინტერესებული გარე აქტორების ნეიტრალური პოზიცია. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების მოგვარების პროცესში ჩართული გარე აქტორებისგან დიდი გავლენით გამოირჩევა რუსეთი, რომელიც პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ არ არის ნეიტრალური და ცდილობს თავისი საგარეო პოლიტიკის გატარებას საქართველოში, მისი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან ღიად პროდასავლური კურსი მხოლოდ საქართველოს აქვს არჩეული, რაც თავისთავად წინააღმდეგობაში მოდის რუსეთის სტრატეგიულ მიზანთან გახდეს ჰეგემონი რეგიონში. ე.წ. „გაყინული კონფლიქტები“ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთს აძლევს საშუალებას გაიძლიეროს გავლენები სამხრეთ კავკასიაში და შესაბამისად დაასუსტოს აშშ-ის, ევროკავშირის და ნატოს გავლენები. აქედან გამომდინარე საქართველოში არსებული კონფლიქტების მართვის პროცესზე რუსეთს ყოველთვის ნეგატიური გავლენა ჰქონდა და ყოველთვის ყველა შესაძლო ინსტრუმენტით ცდილობდა ხელი შეეშალა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დასახული მიზნების შესრულებისთვის.

3.2. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირებაში ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციები

1990-იან წლებში რუსეთის მიერ მხარდაჭერილმა მთიანი ყარაბაღის სომხურმა ძალებმა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს მთიან ყარაბაღსა და ანკლავს შორის მოქცეული ტერიტორია. რუსეთი აქტიურად ჩაერთო კონფლიქტის მართვის პროცესში და მისი თაოსნობით დაიწყო მოლაპარაკებების სერია ეუთოს „მინსკის ჯგუფის“ სახელით ცნობილ კომიტეტთან ერთად. 1994 წელს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიუხედავად საერთო მოცემულობა რეგიონში მაინც არ იცვლებოდა. კონფლიქტს ახასიათებდა ცხელი ფაზები და ლოკალური შეარაღებული დაპირისპირებები. მიუხედავად არაერთი მცდელობისა ორმხრივი კომპრომისის ხარჯზე მშვიდობისა დამყარებისა, ინიციატივები მიუღებელი იყო ან ერთ-ერთი მხარისთვის ან ორივესთვის. ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიოდა ერთი მხრივ, აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა და მეორე მხრივ, სომეხი ხალხის თვითგამორკვევის უფლება.

პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სოციალურად გაძლიერებული აზერბაიჯანი უცხოელი პარტნიორებისგან ითხოვდა გაეროს გენერალური ასაბლეთის რეზოლუციების აღსრულებას, რომლის მიხედვითაც საოკუპაციო ძალებს უნდა დაეტოვებინათ დაკავებული ტერიტორია და აზერბაიჯანელ დევნილებს უნდა მისცემოდათ დაბრუნების შესაძლებლობა. (სამადბეგიშვილი, 2020)

2007 წლის ეუთოს მინსკის ჯგუფის მიერ შემუშავებულ იქნა კომპრომისული პროექტი „მადრიდის პრინციპები“, რომელიც ითვალისწინებდა სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის შეიარაღებული ძალების სრულად გაყვანას მთიანი ყარაბაღის ქალბაჯარის და ლაჩინის ტერიტორიებიდან. ეს პროექტი მიუღებელი აღმოჩნდა სომხეთისთვის, ვინაიდან მათი პოზიციით ამ პროექტში იგნორირებული იყო მთიანი ყარაბაღის თვითგამორკვევის უფლება, ხოლო აზერბაიჯანი წინააღმდეგი იყო მთიანი ყარაბაღის სტატუს-კვოს შენარჩუნებაზე. (რადიოთავისუფლება, გამოჩნდებიან თუ არა რუსი მშვიდობისმყოფელები მთიან ყარაბაღში, 2020)

2008 წლის ნოემბერში აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა და სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარქისიანმა დადეს პირველი შეთანხმება, მცდელობების გაძლიერების შესახებ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოსაგვარებლად. მიუხედავად შეთანხმებისა და ერთი შეხედვით დაახლოებული პოზიციებისა, პერიოდულად მაინც ხდებოდა შეტაკებები. 2019 წელს სომხეთის ახალი მთავრობის ინიციატივით დაიწყო ახალი მოლაპარაკებები, რომელიც ჩავარდა და საბოლოოდ 2020 წლის ივლისში სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზარდა.

2020 წლის 9 ნოემბერს გაფორმდა სამმხრივი საზავო ხელშეკრულება მთიან ყარაბაღში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს სომხეთის პრეზიდენტმა ნიკოლ ფაშინიანმა, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა და რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა. (ვიკიპედია, მთიან ყარაბაღში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, 2021) რუსეთის მედიაციით დადებულმა ამ შეთანხმებამ საბოლოოდ დააკარგინა ლეგიტიმურობა და ფუნქცია ეუთო-ს მინსკის ფორმატს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ფორმატის ფარგლებში ბოლო წლებში საფრანგეთთან და აშშ-სთან შედარებით დომინანტურ როლს რუსეთი ასრულებდა.

კონფლიქტის გადაწყვეტის პროცესში მნიშვნელოვანია გარე აქტორების ნეიტრალური პოზიცია. მთიანი ყარაბაღი კონფლიქტის შემთხვევაში ასეთ აქტორებს აშშ და საფრანგეთი წარმოადგენდნენ, რომლებიც თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ამიტომ ამ კონფლიქტის მართვა მთლიანად რუსეთის ხელში აღმოჩნდა, რომელმაც შეძლო ჩაეშალა თურქეთის მცდელობა მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა აღნიშნული კონფლიქტის მართვის პროცესზე. რეგიონში არსებული ენერგორესურსები ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს რუსეთისთვის. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მართვის ბერკეტით, რუსეთმა შეძლო ხელი შეეშალა კასპიის ზღვისა და ხმელთაშუაზღვის დამაკავშირებელი მილსადენის მშენებლობისთვის. ასევე ზემოაღნიშნული კონფლიქტით დაუცველ და ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი სომხეთი კიდევ უფრო მეტად დამოკიდებული გახდა რუსეთზე. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის პირდაპირ ინტერესს წარმოადგენდა მთიან ყარაბაღში საომარი მოქმედებების განახლების ხელშეწყობა და შემდეგ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაში საკუთარი ინტერესების გათვალისწინება, რომლითაც

უზრუნველყო კონფლიქტის გრძელვადიანი პოლიტიკური ვერ გადაწყვეტა და შექმნა ე.წ. „გაყინული კონფლიქტი“, სადაც რუსეთი მთავარი შუამავალია.

ასევე მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ესკალაცია რუსეთის სტრატეგიულ საგარეო პოლიტიკის ინტერესსაც წარმოადგენდა, ვინაიდან აღნიშნული კონფლიქტის შედეგად მისი გავლენები კიდევ უფრო გაიზარდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში და კიდევ უფრო მიუახლოვდა თავის სტრატეგიულ მიზანს - რეგიონული ჰეგემონიის სტატუსის მოპოვებას.

დასკვნები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაწყებულმა გეოპოლიტიკურმა რყევებმა და მსოფლიო რუკაზე განხორციელებულმა ცვლილებებმა სამხრეთ კავკასიის ენერგორესურსები და გეოპოლიტიკური მდებარეობა მოაქცია გავლენიანი აქტორების ინტერესების სფეროში. სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესები ცხადყოფს, რომ რეგიონი გლობალური უსაფრთხოების სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია და ამ პროცესებში გავლენიან პოლიტიკურ აქტორებს დასავლეთი (აშშ, ნატო, ევროკავშირი) და რუსეთი წარმოადგენენ. ასევე თურქეთიც აქტიურად ცდილობს მოიპოვოს რეგიონში მნიშვნელოვანი აქტორის სტატუსი. თითოეულ მათგანს რეგიონში მიმდინარე პროცესების მართვის თავისებური ხედვა გააჩნიათ: დასავლეთი რეგიონში გავლენის გასაძლიერებლად რეგიონში სტაბილური გარემოს უზრუნველყოფას და დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობას ცდილობს. ასევე ეფექტურად იყენებს ეკონომიკურ და საგანმანათლებლო ინსტრუმენტებს. თურქეთიც დასავლეთის მსგავსად ცდილობს რეგიონზე გავლენა ეკონომიკური და საგანმანათლებლო პროექტების განვითარებით მოიპოვოს. რაც შეეხება რუსეთის ფედერაციას, მას სამხრეთ კავკასიის მიმართ გააჩნია სტრატეგიული ინტერესები, რაც გულისხმობს სამხრეთ კავკასიის რეგიონში გავლენების გაძლიერებას და რეგიონული ჰეგემონის სტატუსის მოპოვებას. მოვლენების ასეთი განვითარების შემთხვევაში რუსეთი მიიღებს მაქსიმალურ სარგებელს, როგორც საერთაშორისო ასპარეზზე პოზიციების გამყარებით, ასევე საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარებს სამხრეთ კავკასიის რეგიონის სტრატეგიულ კომუნიკაციებს და ენერგორესურსებს. ამ მიზნის მისაღწევად რუსეთი მზადაა მის ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტი გამოიყენოს, მათ შორის კონფლიქტების ესკალაციის ხელშეწყობა და სამხედრო მოქმედებები.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის ახალგაზრდა დამოუკიდებელ სახელმწიფოებში საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული შეიქმნა ნოყიერი ნიადაგი ეთნიკური დაპირისპირების პროვოცირებისათვის. ქართულ-აფხაზური დაპირისპირება 1921 წელს საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ბათუმში ჩატარებული აფხაზეთის სოციალისტური რესპუბლიკად გამოცხადების რეფერენდუმიდან იღებს სათავეს. რის შემდეგაც საბჭოთა

ხელისუფლება მუდმივად ახალისებდა დაპირისპირებას ეთნიკურად ქართველ და აფხაზ ჯგუფებს შორის. რაც შეეხება პოსტსაბჭოთა პერიოდს, რუსეთის ხელისუფლებას კიდევ უფრო მარტივად ჰქონდა საქმე კონფლიქტების მართვის კუთხით, ვინაიდან დაძაბულობა ეთნიკურად ქართველებსა და აფხაზებს შორის ზენიტში იყო, რასაც ხელს უწყობდნენ, როგორც რუსული სპეცსამსახურები, ასევე საქართველოს ხელისუფლების ნაციონალისტურად შეფერილი რიტორიკა. ცხინვალის რეგიონის შემთხვევაშიც კონფლიქტების წარმოშობის საწყისები საბჭოთა კავშირის ჩამოყალიბების პერიოდიდან იღებს სათავეს, როდესაც ქართველი და რუსი კომუნისტები ხელისუფლებაში მოსვლის მიზნით მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებდნენ შიდა ქართლში მცხოვრებ ეთნიკურად ოსებს, რაც საბოლოოდ საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1922 წლის 20 აპრილს ე.წ. სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის წარმოქმნით დასრულდა. რაც შეეხება მთიან ყარაბაღის კონფლიქტს, აქაც საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან იგივე ხელწერა იგრძნობა და 1921 წლიდან იღებს სათავეს, როდესაც მთიანი ყარაბაღის რეგიონი ჯერ სომხეთს მიაკუთვნეს, ხოლო შემდეგ აზერბაიჯანს დაუქვემდებარეს. რასაც მალევე მოჰყვა აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის მწვავე დაპირისპირება. კონფლიქტების ესკალაციით რეგიონში იქმნება უსაფრთხოების თვალსაზრისით არასტაბილური გარემო, რაც ნიშნავს რეგიონში დასავლეთის პოზიციების შესუსტებას და რუსეთის გავლენების გამყარებას. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების ესკალაციით მაქსიმალურ სარგებელს იღებს რუსეთი და შესაბამისად იკვეთება მისი ინტერესები მართოს რეგიონის კონფლიქტები და მიუახლოვდეს სტრატეგიულ მიზანს რეგიონული ჰეგემონიის შესახებ.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული ე. წ. „კონტროლირებადი კონფლიქტების“ მართვის ბერკეტებით რუსეთი ახერხებს შეინარჩუნოს გავლენები რეგიონში და პერიოდულად საკუთარი სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე კონფლიქტების მართვის საშუალებით იძლიერებს რეგიონში გავლენებს და რეგიონის უსაფრთხოებას და სტაბილურობას საძირკველს აცლის. კონფლიქტების მართვის რუსული ხედვა ეყრდნობა ე. წ. „პრიმაკოვის დოქტრინას“, რომლის მიხედვითაც აუცილებელია შეიქმნას მულტიპოლარული საერთაშორისო სისტემა, რაც გულისხმობს აშშ-ის მსოფლიო ჰეგემონიის შეზღუდვას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად „პრიმაკოვის

დოქტრინა“ ითვალისწინებს სამი ძირითადი პრინციპით მოქმედებას: პირველი პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის ჰეგემონიის დამყარება; მეორე ნატოს გაფართოების შეფერხება რუსეთის საზღვრებთან და მესამე ჩინეთთან და ინდოეთთან სტრატეგიული პარტნიორობით მულტიპოლარული საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბება. სამხრეთ კავკასიის რეგიონში კონფლიქტების მართვის ინსტრუმენტით რუსეთი ახერხებს რეგიონი დააყენოს უსაფრთხოების დილემის წინაშე და შექმნას არასტაბილური გარემო, რაც პირდაპირ ზღუდავს აშშ-ის და შესაბამისად დასავლეთის გავლენების გაფართოებას რეგიონში და ხელს უწყობს რუსეთის სტრატეგიული მიზნის მიღწევას - ნებისმიერი ინსტრუმენტის გამოყენებით, თუნდაც კონფლიქტების მართვით მიიღოს მაქსიმალური სარგებელი და გახდეს რეგიონული ჰეგემონი.

რაც შეეხება აშშ-ს, სამხრეთ კავკასია მისთვის წარმოადგენს სტრატეგიული ინტერესების საკვანძო ნაწილს, ვინაიდან სამხრეთ კავკასია არის როგორც გეოსტრატეგიული თვალსაზრისით მიმზიდველი, ასევე ენერგორესურსებით მდიდარი რეგიონი. ასევე აშშ-სთვის რეგიონში გავლენების გაძლიერება წარმოადგენს ერთგვარ პლაცდარმს ცენტრალური აზიაში ფეხის მოსაკიდებლად, რომელიც ასევე ძალიან მდიდარია ენერგორესურსებით. აშშ-ს რეგიონში გავლენის გაძლიერების რუსეთისგან განსხვავებული ხედვა აქვს, რომელიც ეყრდნობა რეგიონის სტაბილურობის ხელშეწყობას და უსაფრთხო გარემოს შექმნას დემოკრატიული ინსტიტუციების განსავითარებლად. აშშ ცდილობს სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მართვის პროცესზე მოახდინოს გავლენა, რათა აღნიშნული კონფლიქტები მოგვარდეს მშვიდობიანი გზით. აშშ-ის საგარეო პოლიტიკა წარმოადგენს მთავარ დაბრკოლებას რუსეთისთვის გაატაროს სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე საგარეო პოლიტიკის კურსი - მართოს კონფლიქტები რეგიონში და მიიღოს მაქსიმალური სარგებელი - რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონში რუსეთის დომინაციის პროცესს.

სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების დილემის გადაჭრა და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებისათვის აუცილებელია რეგიონული და გლობალური აქტორების ერთობლივი ძალისხმევა, განსაკუთრებით კი აშშ-ის, რომელიც წარმოადგენს გლობალური დონის აქტორს და შეუძლია უფრო ძლიერი ზეგავლენა

იქონიოს სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებზე, რისთვისაც აუცილებელია დიდი პოლიტიკური და გეოპოლიტიკური ძვრები და ქმედითი ნაბიჯები.

აღსანიშნავია რუსეთის მიერ კონფლიქტის მართვის ხედვის ცვლილება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომამდე და მის შემდეგ. 2008 წლამდე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორცაა გაერო, ეუთო და ევროკავშირის სადამკვირვებლო ჯგუფი ჰქონდათ კონფლიქტის ზონაში ფუნქციონირების საშუალება: ცეცხლის შეწყვეტის ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და კონფლიქტის გამყოფ ხაზთან მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვა და საჭიროებების უზრუნველყოფა. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ რუსეთმა გაეროს მისიის ვადის ამოწურვისთანავე მის გახანგრძლივებას ვეტო დაადო და შესაბამისად შეწყდა მისიის ფუნქციონირება. დღეს ქენევის მოლაპარაკებების ფორმატი არის ერთადერთი საერთაშორისო პლატფორმა, რომლის ფარგლებშიც ხდება კონფლიქტში ჩართული მხარეების და დაინტერესებული ატქორიების მოლაპარაკებების პროცესი და განიხილება რეგიონის უსაფრთხოების საკითხები. რუსეთის მხრიდან კონფლიქტის მართვის ორმაგ მიდგომას და სტანდარტებს კარგად ხსნის მშვიდობის და კონფლიქტის მკვლევარი ქეთევან მურუსიძე თავის სტატიაში „Russia’s approach to Responsibility to Protect in the Black Sea and Syria“, სადაც ავტორი საუბრობს R2P (Responsibility to Protect) 2005 წელს გაეროს მიერ ადამიანის უფლებების დაცვის პასუხისმგებლობის პრინციპების რუსეთის მხრიდან შერჩევით გამოყენების შესახებ. ერთი მხრივ, რუსეთი სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-სადის მხარდასაჭერად დაუპირისპირდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობას - „დაიცვას საკუთარი მოსახლეობა გენოციდისგან, ომის დანაშაულებებისგან, ეთნიკური წმენდისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებებისგან“ და მეორე მხრივ, 2008 წელს რუსული ჯარები შეიჭრა საქართველოში „ადამიანების უფლებების დასაცავად“ და საქართველოს მხარეს მტკიცებულებების გარეშე დასდო ბრალი „გენოციდში“, რომელიც ცოტა მოგვიანებით ჩაანაცვლა „რუსეთის მოქალაქეების და მათი უფლებების დაცვის შესახებ“ არგუმენტით. R2P საერთაშორისო საზოგადოებისთვის წარმოადგენს მშვიდობის და სტაბილურობის კონცეფციას, ხოლო რუსეთისთვის ესაა იარაღი შავ ზღვის რეგიონსა და ახლო აღმოსავლეთში რეგიონული ჰეგემონიის მიზნის მიღწევისათვის

განხორციელებული ქმედებების გამართლების საშუალება. (მურუსიძე, 2020) ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ რუსეთი კონფლიქტების მართვის პროცესში ყოველთვის საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს, ცდილობს მიიღოს მაქსიმალური პოლიტიკური და მატერიალური სარგებელი, რომელიც უზრუნველყოფს მისი პოზიციების გამყარებას რეგიონში და ხორცს შეასხამს მის რეგიონული ჰეგემონიის ამბიციას.

რაციონალური არჩევანის თეორიის კონტექსტში რუსეთის მხრიდან სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მართვის ხედვები წარმოჩინდება, როგორც რუსეთის მხოლოდ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით და სარგებლის მაქსიმიზაციის სურვილით მიღებული რაციონალური გადაწყვეტილებები. რუსეთში არსებული ავტორიტარული რეჟიმი აიძულებს ინსტიტუციებს იმოქმედონ რუსეთის ვიწრო პოლიტიკური ჯგუფის ინტერესების დასაკმაყოფილებლად და გაატარონ მათი ჰეგემონური პოლიტიკა რეგიონში.

ნეორეალიზმის თეორიის, კერძოდ მერშაიმერის თავდასხმითი რეალიზმის ჭრილში ძალიან დამაჯერებლად იხსნება რუსეთის საგარეო პოლიტიკა და მის მიერ, სამხრეთ კავკასიის რეგიონში კონფლიქტების მართვისას განხორციელებული მოქმედებები. რუსეთის საგარეო პოლიტიკა ეფუძნება „პრიმაკოვის დოქტრინას“, რომლის ერთერთი საკვანძო პრინციპი არის პოსტსაბჭოთა სივრცეში ჰეგემონის სტატუსის მოპოვება. აღნიშნული პრინციპი თავის მხრივ წარმოადგენს თავდასხმითი რეალიზმის ერთ-ერთ პოსტულატს, რომ საერთაშორისო სისტემაში დიდი სახელმწიფოები ისწრაფვიან ჰეგემონიისკენ და შესაბამისად ძალაუფლების მაქსიმიზაციისკენ. ასევე, რუსეთი სასურველი მიზნის მისაღწევად მზადაა ყველა საშუალება გამოიყენოს, მათ შორის ომიც, რომელიც ასევე წარმოადგენს თავდასხმითი რეალიზმის ერთერთ კონცეფციას, რომ ომი კარგი საშუალებაა, თუ ომით გამოწვეულ დანაკარგებს გადაწონის სარგებელი.

რუსეთთან დაკავშირებული ძველი და უახლესი ისტორიის, რუსეთში არსებული პოლიტიკური რეჟიმის, რუსეთის საგარეო პოლიტიკის კურსის, კონფლიქტების მართვის პროცესებზე გავლენებით და რუსეთის, როგორც საერთაშორისო სისტემის

დიდი სახელმწიფოს ნეორეალიზმის და რაციონალური არჩევანის თეორიებით გაანალიზების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ახლო მომავალში რუსეთის სტრატეგიული მიზანი - გახდეს რეგიონში ჰეგემონი აქტორი არ შეიცვლება. რაც თავის მხრივ ნიშნავს, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის ვექტორის ძირითადი ხაზი უცვლელი დარჩება და ყველა შესაძლო ინსტრუმენტით ეცდება სასურველი მიზნის მიღწევას, მათ შორის კონფლიქტების ესკალაციით და „რაციონალური საჭიროების“ შემთხვევაში სამხედრო გზითაც. რეგიონში არბული დამაბული ატმოსფერო, დაუცველობის განცდა, კონფლიქტების მართვის სადავეების რუსეთის ხელში ჭერა, არის რუსეთისთვის იდეალური გარემო გააძლიეროს რეგიონზე საკუთარი გავლენები, შესაბამისად დაასუსტოს დასავლეთის პოზიციები სამხრეთ კავკასიაში და მოიპოვოს რეგიონული ჰეგემონის სტატუსი.

გამოყენებული ლიტერატურა

- Blau, P. (1997). On Limitations of Rational Choice Theory for Sociology. *JSTOR Collection*, 16.
- civil.ge. (2006, 8 15). *ცხინვალში ოსური პასპორტების გაცემა დაიწყო*. Retrieved 12 06, 2022, from <https://civil.ge/>: <https://civil.ge/ka/archives/138802>
- Civil.ge. (2017, 8 1). *2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მიმოხილვა: 1 აგვისტო*. Retrieved 14 06, 2022, from Civil.ge: <https://civil.ge/ka/archives/218069>
- Giles, A. (2020). *Valery Gerasimov's Doctrine*. Potsdam: Universität Potsdam.
- Lovett, F. (2006, 5). RATIONAL CHOICE THEORY AND EXPLANATION. *Rationality and Society*, p. 238.
- Mearsheimer, J. J. (2001). *The Tragedy of Great Power Politics*. Norton & Company.
- NDI. (2020). *ანგარიში 2020 წლის*. თბილისი: <https://www.ndi.org/>.
- Nodia, G. (1992). *Nationalism and Democracy*. Johns Hopkins University Press.
- Odling-Smee, J. (2004). *The IMF and Russia in the 1990s*. 2004 International Monetary Fund.

- Olson, M. (1984). *The Rise and Fall of Countries*. Yale University Press.
- Ozkan, B. (2017). Who Gains from the “No War No Peace” Situation? A Critical Analysis of the Nagorno-Karabakh Conflict. *ResearchGate GmbH*.
- PIA.GE. (2022). რუსეთის ულტიმატუმი - მოსკოვი უკრაინის ნეიტრალიტეტს ითხოვს. *PIA.GE*, 1.
- Rumer, E. (2019). *The Primakov (Not Gerasimov) Doctrine in Action*. Washington: Carnegie Endowment for International Peace.
- RUMER, E. (2019, 6 5). *The Primakov (Not Gerasimov) Doctrine in Action*. Retrieved 5 9, 2022, from <https://carnegieendowment.org/2019/06/05/primakov-not-gerasimov-doctrine-in-action-pub-79254>
- Selhorst, A. (2016). Russia’s Perception Warfare. *Militaire Spectator*, 151.
- Snyder, G. H. (2002). *Mearsheimer's World-Offensive Realism and the Struggle for Security: A Review Essay*. The MIT Press.
- Waltz, K. (1979). *Theory of international politics*. Addison-Wesley Pub. Co.
- Wendt, A. (1995). *Constructing International Politics*. The MIT Press.
- აბაშიძე, ზ. (2000). *ნატო და საქართველო : უტოპიიდან რეალობისაკენ*. თბილისი: ცოდნა.
- აკობია, ე. (2006). „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*, 22.
- აკობია, ე. (2021). საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლები: ძირითადი ლიტერატურა და თანამედროვე კვლევითი დღისწესრიგი. თბილისი: კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- აპარატი, შ. დ. (2019). *ქენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები*. თბილისი: smr.gov.ge.
- ასათიანი, ს. (2007, 02 11). *რადიო თავისუფლება*. Retrieved 5 10, 2022, from <https://www.radiotavisupleba.ge/>: <https://www.radiotavisupleba.ge/a/1551027.html>
- ასმუსი, რ. დ. (2010). *მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა*. თბილისი: ილიაუნის გამომცემლობა.

ბატიაშვილი, ზ. (2020). *თურქეთის კავკასიური პოლიტიკა სომხეთ-აზერბაიჯანის ბოლო დაძაბულობის ფონზე*. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.

ბიოლი, ჰ. (2014). სამხრეთ კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და მოლოდინები. In თ. აკოფიანი, *გეოპოლიტიკისა და დემოკრატიის გამოწვევები* (pp. 123-124). თბილისი: ჰეინრიხ ბიოლის ფონდი.

ბეჟინსკი, ზ. (2014). *დიდი საჭადრაკო დაფა*. თბილისი: გამომცემლობა არტანუჯი.

გეგეშიძე, ა. (2018). *საქართველოს ევროპული პერსპექტივა: როგორ დავიხლოვოთ მომავალი*. თბილისი: ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი.

დავითაშვილი, ზ. (2001). *კავკასიის კონფლიქტები, მიზეზები და შესაძლო შედეგები*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

დავითაშვილი, ზ. (2003). *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია*. თბილისი: მეცნიერება.

დოდსი, ა. (2019). *შედარებითი საჯარო პოლიტიკა*. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ეკა კველიაშვილი, ნათია ალექსანდრია, ნოდარ მუშკუდიანი. (2005). *საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან*. თბილისი: OSCE.

ვიკიპედია. (2015, 8 4). *გაეროს მისია საქართველოში*. Retrieved 06 15, 2022, from <https://ka.wikipedia.org/>:

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98

ვიკიპედია. (2020, 6 4). *ისლამი საქართველოში*. Retrieved from ka.wikipedia.org:

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98

ვიკიპედია. (2021, 03 11). *მთიან ყარაბაღში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება*. Retrieved 6 11, 2022, from ka.wikipedia.org:
https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C_%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%A8%E1%83%98_%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%AC%E1%83

ვიკიპედია. (2021, 1 16). *ქენჯის საერთაშორისო მოლაპარაკებები*. Retrieved 6 15, 2022, from ka.wikipedia.org:
https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9F%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D_%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%

ზარიფიანი, ჟ. (2018). *პირობითი ჩართულობა აშშ-ის საქმიანობა სამხრეთ კავკასიაში*. თბილისი: STIFTUNG, HEINRICH BÖLL.

თბილისი, ე. ი.-ლ. (2016). *რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში*. თბილისი: ევროპული ინიციატივა-ლიბერალური აკადემია თბილისი.

თურმანიძე, თ. (2009). *"სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტის დარეგულირების მექანიზმის მოკლე ისტორია: 1992-2008*". თბილისი: ბთკკ - პოლიტიკის კვლევის ჯგუფი.

ინსტიტუტი, ი. თ. (2022). *რუსული კაპიტალი ქართულ ბიზნესში*. თბილისი: idfi.ge.

კუნჭულია, ლ. (2022, 4 6). *რა ვიცი დასავლეთის სანქციების, საქართველოს პოზიციისა და უკრაინის დაზვერვის ბრალდებების შესახებ?* Retrieved 5 12, 2022, from რადიო თავისუფლება: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31787351.html>

მაიკ ეკელი, კ. ლ. (2020, 10 12). *ბრძოლა დრონებით: მომავლის ომის სახე მთიან ყარაბაღში*. Retrieved from რადიოთავისუფლება :
<https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97->

%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%
E1%83%A1-%E1%83%9D%E1%83%9B%E

მანჩხაშვილი, მ. (2018). *თურქეთი და სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების საკითხი*. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მაცაბერიძე, მ. (1998). *გეოპოლიტიკის კლასიკური თეორიები*. თბილისი: ცოდნა.

მაცაბერიძე, მ. (2014). კავკასიის კონფლიქტების შედარებითი ანალიზი. In მ. მაცაბერიძე, *კავკასიის შედარებითი პოლიტიკა* (pp. 20-21). თბილისი.

მურუსიძე, ქ. (2020). Russia's approach to Responsibility to Protect in the Black Sea and Syria. *Utility Navigation*.

ნადარეიშვილი, თ. (2000). *შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ*. თბილისი.

ნატა ძველიშვილი, თ. კ. (2015). *რუსული კაპიტალი ქართულ ბიზნესში*. თბილისი.

ნოდია, გ. (2006). *საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი*. თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.

ოხანაშვილი, ნ. (2018). *„ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების“*. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პატარა სახელმწიფო და დიდი მეზობელი: საქართველოს უსაფრთხოების ძიებაში. (2003). თბილისი: ახალი აზრი.

პიპინაშვილი, დ. (2008). *სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები*. თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

რადიოთავისუფლება. (2020, 10 14). *გამოჩნდებიან თუ არა რუსი მშვიდობისმყოფელები მთიან ყარაბაღში*. Retrieved 6 12, 2022, from <https://www.radiotavisupleba.ge/>:
<https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A9%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%97%E1%83%A3-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90->

%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98-
%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%95%

რადიოთავისუფლება. (2021). რუსეთმა გამოაქვეყნა უსაფრთხოების გარანტიების
თაობაზე აშშ-სთან და ნატოსთან შეთანხმებების პროექტები. *რადიოთავისუფლება*,
6.

რადიოთავისუფლება. (2022, 4 29). *აშშ-ის კონგრესმა დაამტკიცა ლენდ-ლიზის კანონი
უკრაინისთვის იარაღის სწრაფად მიწოდებისთვის*. Retrieved 5 12, 2022, from
www.radiotavisupleba.ge: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31826681.html>

რადიოთავისუფლება. (2022). მთიან ყარაბაღში სამომარო მდგომარეობა გამოცხადდა.
რადიო თავისუფლება.

რონდელი, ა. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობები*. თბილისი: ნეკერი.

სამადბეგიშვილი, ს. (2020, 11 16). *მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შუალედური
დასასრული, როგორც საეტაპო მოვლენა*. Retrieved 06 15, 2022, from
<https://www.geocase.ge/>:
<https://www.geocase.ge/media/938/%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%>

სამინისტრო, ს. თ. (2002). *თანამშრომლობა აშშ-სთან*. თბილისი: mod.gov.ge.

სამინისტრო, ს. ს. (2019). *რუსეთის წინააღმდეგ კიდევ უფრო ძლიერი სანქციების დაწესების
თაობაზე აშშ-ის სენატისადმი წარდგენილ კანონპროექტში კვლავაც ასახულია
საქართველოს მტკიცე მხარდამჭერი დებულებები*. თბილისი: mfa.gov.ge.

უოლცი, ქ. (2003). *ადამიანი, სახელმწიფო და ომი: თეორიული ანალიზი*. ჯისიაი.

ურუშაძე, ე. (2006). *რუსული საგარეო პოლიტიკური აზროვნება პოსტსაბჭოთა პერიოდში*.
თბილისი: ბთკკ-ს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევების სერია.

მაიშმელაშვილი, გ. (2021). კავკასიის კონფლიქტების ტრანსფორმაცია: ლიბერალური მშვიდობის იდეებიდან რუსულ მშვიდობამდე. *ჰუბლიკა*, 32-35.

შველიძე, დ. (2021). *პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში*. თბილისი: არტანუჯი.

ცენტრი, ს. დ. (2008, 4 3). *ბუქარესტის სამიტი*. Retrieved from old.infocenter.gov.ge:
<http://old.infocenter.gov.ge/78-buqarestis-samiti.html>

წულაძე, ლ. (2020). *სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები*. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სიღრმისეული ინტერვიუს რესპოდენტების შესახებ:

1. ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალისტი; 30 წლის; მამაკაცი; ინტერვიუს თარიღი: 28.05.2022
2. საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი; 31 წლის; მამაკაცი; ინტერვიუს თარიღი: 30.05.2022
3. საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი; 36 წლის; მამაკაცი; ინტერვიუს თარიღი: 02.06.2022
4. კონფლიქტისა და მშვიდობის მკვლევარი; 25-30 წლის; ქალი; ინტერვიუს თარიღი: 15.06.2022
5. კონფლიქტისა და მშვიდობის მკვლევარი; 25-30 წლის; ინტერვიუს თარიღი: 18.06.2022